ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 20 სექტემბერი, 2013 №223 (6224) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები
ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი




# „მე არსად წასვლას არ ვაპირებ!“



გვ.3



გვ.6

## კახა კუკავა: „ივანიშვილის გუნდი სახიფათო თამაშს თამაშობს“

„ქართული ოცნება ისეთივე სალანძღავი სიტყვა იქნება, როგორიც ნაციონალური მოძრაობა“

## საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კვლევაში მარგველაშვილი და ბურჯანაძე ლიდერობენ

გვ.5



გვ.4

## სვანები ბიძინა ივანიშვილს სიტყვის შესრულებას სთხოვენ

ხუდონჰესის გარშემო დაპირისპირება გრძელდება

## „მერაბიშვილისა და ახალაიას გათავისუფლება შეუძლებელია



გვ.2



## მამუკა გიორგაძე: „საქართველო აგენტებით არის სავსე“

გვ.8

რატომ არ იღებს ხმას საპარლამენტო უმრავლესობა





გვ.2

## ბელა კვაჭანტირაძე: „არჩევნების წინ პოლიტიკოსები სისულელეებს ამბობენ“

ISSN 1987-9385

**2** პოლიციამ უკანონო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

**5** სახალხო კრება დავით უსუფაშვილს მიმართავს

**2** პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ფაქტზე შსს-მ 4 პირს ბრალი წაუყენა

**6** მიხეილ სააკაშვილი: „მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ორიენტაცია მძიმე შეცდომაა“

# გელა კვაჭანტირაძე: „არჩევნების წინ პოლიტიკოსები სისულელეებს ამბობენ“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***— მცოცავი ანექსიის საკითხი ისევ აქტუალურია. როგორ შეაფასებთ იმას, რაც მოხდა სოფელ დიცში?***

— სამწუხაროდ, ახალი არაფერი ხდება. როცა ჩვენთან კრიტიკული მომენტები დგება, რუსები აქტიურდებიან, ამწვავებენ სიტუაციას. სამწუხაროა, რაც ხდება, შსს აპირებს, გაამკაცროს იქ პატრულირება, რეალური ბერკეტები არ არის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აღკვეთოს ეს ქმედებები. ჩვენმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოება ჩააყენა საქმის კურსში, რათა რეაგირება მოახდინოს რუსეთის ასეთ უკანონო ქმედებებზე. რეაქციამაც არ დააყოვნა დასავლეთის მხრიდან. რუსეთი ახლა ძალიან გააქტიურდა აზერბაიჯანში, მოლდოვაში, უკრაინასთან დრამატული ამბები მიდის, მაგრამ უკრაინამ მტკიცე პოზიცია დაიჭირა ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. რუსებს ზეწოლის პოლიტიკა არ გაუვიდათ, ჩვენც გადავლახავთ ამ წინააღმდეგობას, რასაც გვიქმნის რუსეთი და მისი შეიარაღებული ძალები.

***— ნაციონალების შეფასებები მოვისმინეთ, რომ ნაზი ხმით კი არ უნდა დაელაპარაკონ რუსებს, არამედ მკაცრად მოითხოვონ ამ მცოცავი ანექსიის შეწყვეტა. რას ფიქრობთ ამაზე?***

— მე გავეცანი ამ განცხადებას, რომელიც გაავრცელა ანდრო ბარნოვმა, მე ამ განცხადებას არ ვიზიარებ. კარგად მოეხსენებათ ნაციონალებსაც და ახალ ხელისუფლებასაც, რომ რაიმე სხვა ბერკეტი ზემოქმედებისა რუსებზე, გარდა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმის კურსში ჩაყენებისა, ჩვენ არა გვაქვს. ეს არის უზარმაზარი უხეში ძალა, რომელიც ასეთ უკანონობას ჩადის. მთავარია, ახლა მოხდეს მოსახლეობის დაცვა.

***— ნაციონალები რომ ყოფილიყვნენ ისევ ხელისუფლებაში, მოახერხებდნენ მკაცრი ტონით რუსეთის დაშინებას?***

— ვერ მოახერხებდნენ. ჩვენ კარგად ვნახეთ, რომ იმ ტონით საუბარმა, როგორითაც ისინი საუბრობდნენ რუსებთან, შედეგი ვერ მოიტანა, პირიქით, მივიღეთ აგვისტოს ომი. ჩვენ ვნახეთ, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ მიატოვა იქ მოსახლეობა და თვითონ გამოვიდა იქიდან. ამიტომ მორალური უფლება, ილაპარაკოს ამაზე, ყოფილ ხელისუფლებას არა აქვს. ზედმეტი ყიჟინა არ არის საჭირო.

***— საუბარია იმაზე, რომ ეუთოს სადამკვირვებლო მისია ისევ დადგეს საზღვართან. სავარაუდოდ, რუსეთი ამას მხარს არ დაუჭერს.***

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ რუსეთმა ამაზე უარი გვითხრა, არც ეუთოს და არც ევროკავშირის დამკვირვებლებს იქ არ უშვებს. მართლა კარგი იქნება, რომ აღდგეს იქ ეუთოს მისია და რეალურად ნახონ, რა ხდება საზღვრებთან. კარგი რომ არაფერი ხდება, ეს ყველამ კარგად ვიცით.

***— ივანიშვილი ისე მიდის ხელისუფლებიდან, რომ მას არ ჰქონია ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტები ვაშინგტონსა და მოსკოვში. რატომ ვერ მოხერხდა ამ ვიზიტების განხორციელება?***

— ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. კოალიციის ლიდერებმა და მათ შორის ივანიშვილმა ისაუბრეს იმაზე, რომ ზეწოლა ჰქონდათ დასავლეთიდან იმის გამო, რომ წინა ხელისუფლებისთვის ხელი არ ეხლოთ და კოჰაბიტაციის რეჟიმი ყოფილიყო, ამიტომ არ წავიდა სწრაფად სამართლიანობის პროცესი. სანამ დასავლეთი არ დარწმუნდება იმაში, რომ ხდება არა პოლიტიკური ანგარიშსწორებები, არამედ სამართლიანობის აღდგენა, მანამ ისინი არ ჩქარობენ მიწვევასა და კონტაქტების გააქტიურებას უმაღლეს დონეზე შეხვედრების თვალსაზრისით. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი გააქტიურდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ცდილობს გავლენების აღდგენას. არ ერიდება ძალის გამოყენებას, ამ დროს ჩვენ ვცდილობთ ცივილიზებულ ჩარჩოებში მოვაქციოთ რუსეთთან ურთიერთობები. ჩვენი ხელისუფლება ერიდება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას. ამიტომ გადაიდო ეს შეხვედრები, მით უმეტეს, როცა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ მიდის პოლიტიკიდან, დასავლეთს სურვილი აქვს შეხვდეს იმ გრძელვადიან ლიდერს, რომელსაც აირჩევს საქართველოს მოსახლეობა და არა იმას, რომელიც დღეს ან ხვალ წავა, ამავე დროს, აშშ-სთან, ევროკავშირთან და ნატოსთან სტრატეგიული პარტნიორობა გრძელდება და, იმედია, გაგრძელდება მომავალშიც.

***— ივანიშვილმა გააკვირვა საზოგადოება თავისი განცხადებით, რომ ევრაზიული გაერთიანება საინტერესო და მიმზიდველია და, თუ საქართველოსთვის ის სასარგებლო იქნება, შეიძლება, ამ თემის განხილვა ხელისუფლებაში დაიწყოს. როგორ შეაფასებთ ამ განცხადებას?***

— მე მოვისმინე ეს ინტერვიუ, ამის ინტერპრეტაცია მოადინეს ნაცმოძრაობამ და მისმა მხარდამჭერებმა. მას არ უთქვამს, რომ მოსწონს ევრაზიული კავშირი. მან თქვა, რომ ევრაზიულ და ნებისმიერ სხვა კავშირსაც განიხილავს, თუ საჭირო იქნება, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსთვის რაიმე სასარგებლოს დაინახავს ამაში. ზედმეტი დრამატიზება ამ განცხადებისა უადგილოა. ნებისმიერი განონასწორებული ლიდერი დიპლომატიურ ენაზე ასე უნდა საუბრობდეს. ის არ გამორიცხავს ნებისმიერ კავშირთან ურთიერთობას, თუ ეს მისი სახელმწიფოსთვის სასარგებლო იქნება.

***— ივანიშვილმა ასევე განაცხადა, რომ რუსეთი შეიძლება ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდეს. ამ განცხადებაში რა იგულისხმება?***

— ეს ზოგადი განცხადებაა. გამორიცხული ამ სამყაროში არაფერია. პოლიტიკური პროგნოზების გაკეთება სარისკო საქმეა, მით უმეტეს, ისეთი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მომავალი ბედისა, როგორც რუსეთი ან ევროკავშირია. გამორიცხული არაფერია, რუსეთი ცდილობს, ფორმალურად აღიაროს დემოკრატიული პრინციპები და რუსეთის შიგნითაც მიმდინარეობს ბრძოლა დემოკრატიულ ძალებსა და დერჟავნიკულ ძალებს შორის. თუ შორეულ მომავალში მოხდება რუსეთში დემოკრატიული ძალების გამარჯვება, მაშინ პრობლემა არ იქნება, რომ რუსეთი გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, თუმცა, მაინც ვფიქრობ, რომ ეს არარეალისტური პროგნოზია. არა მგონია, უახლოეს თვალსაწიერში რუსეთში ასეთი მკვეთრი ცვლილებები მოხდეს.

***— სალომე ზურაბიშვილი და ირაკლი ალასანია, ორი დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მონაწილეობენ არჩევნებში. ხომ არ არის ივანიშვილის პირადი სურვილი, რომ ეს ადამიანები ჩამოშორდნენ საპრეზიდენტო არჩევნების მარათონს?***

— რთულია, ასეთი რამ დააბრალო პრემიერ-მინისტრს, სხვადასხვა სიტუაციაა ალასანიასა და ზურაბიშვილის შემთხვევაში. ალასანიამ თავად თქვა უარი, მიეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. კულუარებში გვახსოვს, რომ მისმა თანაპარტიელებმა იჩქარეს და მისი კანდიდატურა წამოაყენეს კანდიდატებს შორის, ამიტომ ეს შეფასდა, როგორც ტაქტიკური შეცდომა და მას უარი ეთქვა მონაწილეობაზე, ქალბატონ სალომეს რაც შეეხება, ეს მართლაც დასანანი შემთხვევაა, რომ მას ამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცა. კონსტიტუციური ჩანაწერი ისეთია, რომ მისი ინტერპრეტირება სხვადასხვანაირად შეიძლება. არ იქნებოდა საკანონმდებლო დარღვევა იმაში, რომ ცესკოს მიეღო გადაწყვეტილება, მიენიჭებინა მონაწილეობის უფლება ქალბატონი სალომესთვის. თუ ეს კანონი შეიძლება ორმაგად იყოს წაკითხული, მაშინ ის სასწრაფოდ უნდა გასწორდეს. მე მგონია, რომ ქალბატონი სალომეს უფლებები შეილახა, როცა სადავო გახადეს მისი უდავო უფლება.

***— სამომავლოდ ალასანიასა და ზურაბიშვილს რა პერსპექტივები აქვთ, მაგალითად, შეეძლებათ თუ არა, რომ იბრძოლონ მერის პოსტისთვის?***

— ძალიან კარგი, მკვეთრად გამოხატული დასავლელი პოლიტიკოსები არიან. მე ვფიქრობ, ისინი ქართულ პოლიტიკაში თავის სიტყვას იტყვიან და საკმაოდ მალე. ძნელია პროგნოზი, რა პოსტს დაიკავებენ და სად ისურვებენ ყოფნას, მაგრამ ადგილობრივ არჩევნებში, ალბათ, კოალიციის პარტიებიც მიიღებენ მონაწილეობას. დარწმუნებული ვარ, ალასანია და ზურაბიშვილი გარკვეულ პროცესებში აქტიურად ჩაერთვებიან და მიაღწევენ სერიოზულ წარმატებებს. როცა ნაციონალური მოძრაობა რევანშისთვის ემზადება და კოჰაბიტაციის გამო ხელისუფლების რეიტინგი დაეცა, დასავლეთს პროდასავლური ძალის სახით დასაყრდენი დიდი არჩევანი არა აქვს. მე ვფიქრობ, რომ ალასანიაც და ზურაბიშვილიც ამ დასაყრდენთა შორის იქნებიან.

***— სოჭის ოლიმპიადიასთან დაკავშირებით სკანდალი მწიფდება, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი დარეგისტრირდნენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს განცხადებას, რომ საქართველო ბოიკოტს არ გამოუცხადებს ამ ოლიმპიადას. როგორია თქვენი კომენტარი ამაზე?***

— ეს რუსეთის მხრიდან გარკვეული ნაბიჯია, რომ მიაჩვიოს საერთაშორისო საზოგადოება, ვითომ სახელმწიფოები დამოუკიდებელნი არიან, იზრუნოს იმაზე, რომ დე ფაქტო მდგომარეობა დე იურედ გამოაცხადოს. ეს არის პოლიტიკაში ნერვების თამაში. ამ საკითხის გამწვავება არაფერს მოგვცემს. ჩვენ გვაქვს მექანიზმები, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხმა აქტუალობა არ დაკარგოს. სოჭის ოლიმპიადით არ გადაწყდება სეპარატისტული რეგიონების სტატუსი, მაგრამ ეს ჩვენ გვაყენებს არასასიამოვნო არჩევანის წინაშე.

***— ხომ არ გამოიწვევს ეს იმას, რომ მეგობარმა სახელმწიფოებმა აღიარონ ეს რეგიონები დამოუკიდებელ ქვეყნებად?***

— ასე პირდაპირ არ გამოიწვევს, მაგრამ შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს. მე არ ვარ მომხრე, რომ საქართველომ მონაწილეობა მიიღოს სოჭის ოლიმპიადაში.

***— საავაშვილმა ქუთაისში ვიზიტის დროს აღშფოთება გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს ქუთაისის ჩაკვლას იმით, რომ პარლამენტი გადაიტანოს თბილისში.***

— წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკოსები ათას სისულელეს ამბობენ. ასეთი განცხადება სერიოზულად არ უნდა მივიღოთ. ეს ხელს არ უწყობს ცივილიზებული პოლიტიკური პროცესების განვითარებას.



## „მერაბიშვილისა და ახალაიას გათავისუფლება შეუძლებელია

ამის შესახებ „პირველს" საქართველოს მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა სამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ. როგორც პაიჭაძემ განმარტა, მერაბიშვილის საქმის არსებითი განხილვა ჯერ არც დაწყებულა და ვიდრე ის არ დასრულდება, ასეთი რამ შეუძლებელია.

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადგება შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეცვლის შესახებ, მერაბიშვილს 26 მაისის საქმეზეც პატიმრობა აქვს შეფარდებული. იგივე მდგომარეობაა ბაჩო ახალაიასთან მიმართებაში", - განაცხადა პაიჭაძემ და დასძინა, რომ ახალაიასთან დაკავშირებულ მეორე საქმეზე განაჩენი დღეს არ ცხადდება“.

პირველი

## ინტერპოლის მიერ ძებნილი აზერბაიჯანის მოქალაქე დააკავა

ქართველმა სამართალდამცველებმა, სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, თურქეთიდან საქართველოს მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას, ინტერპოლის მიერ ძებნილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1987 წელს დაბადებული უმიდ რამაზანოვი დააკავეს.

აღნიშნული პიროვნება, დაკავებისა და შემდგომი ექსტრადიციის მიზნით, აზერბაიჯანის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნაში 2013 წლის 11 სექტემბრიდან იმყოფებოდა.

მედიანიუსი

## პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ფაქტზე შსს-მ 4 პირს ბრალი წაუყენა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის

წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თბილისში მოქმედ სასტუმრო „პარადაისი“-ს და საუნა „გზა 2020“-ს დროებით მფლობელებს, 1977 წელს დაბადებულ ცირა მ.-ს, 1959 წელს დაბადებულ ქეთევან მ.-ს, 1978 წელს დაბადებულ რამაზ ქ.-ს და 1950 წელს დაბადებულ ნუგზარ შ.-ს ბრალი პროსტიტუციისთვის ფართის გადაცემის ფაქტზე წაუყენეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ოთხივე ბრალდებული თბილისში, სასტუმრო „პარადაისი“-ში და საუნა „გზა 2020“-ში ოთახებს პროსტიტუციისათვის აქირავებდნენ. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემის ფაქტზე სსსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## პოლიციამ უკანონო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, თბილისში მცხოვრები, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1987 წელს დაბადებული ვახტანგ შ. დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას „კალაშნიკოვი“-ს სისტემის „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატი, ორი მჭიდი და 98 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის, წარსულში ნასამართლევი, 1984 წელს დაბადებული მიხეილ თ. დააკავეს. სამართალდამცველებმა მისი კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკისას 122 აბი ნარკოტიკული საშუალება ,,ექსტაზი“ და ნარკოტიკული საშუალება ნედლი ,,მარიხუანა“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 22,4 გრამია. ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს ,,ოპიუმი“-ს და ,,მარიხუანა“-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

მედიანიუსი

## ირაკლი ღარიბაშვილმა პატრულ-ინსპექტორი ილია სულაკაძე მედლით — „მამაცობისთვის“ დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, დღეს პატრულ-ინსპექტორი ილია სულაკაძე სამინისტროში მიიღო და მოქალაქის გადარჩენისას გამოჩენილი გმირობისთვის მადლობა გადაუხადა.

მინისტრმა ილია სულაკაძე მედლით – „მამაცობისთვის“ დააჯილდოვა და კაპიტნის წოდება ვადაზე ადრე მიანიჭა. ირაკლი ღარიბაშვილმა პატრულის თანამშრომელი ცეცხლსასროლი იარაღითაც დაასაჩუქრა. შეგახსენებთ, რომ გუშინ, პატრულ-ინსპექტორმა ილია სულაკაძემ 1985 წელს დაბადებული გოდერძი იობიძე სიკვდილს გადაარჩინა. გოდერძი იობიძე ქუთაისში, ალმაშენებლის გამზირზე, რესტორან „რივერ საიდთან“ მდებარე ხიდიდან მდინარე რიონში თვითმკვლელობის მიზნით გადახტა. ამ ფაქტს პატრულ-ინსპექტორი ილია სულაკაძე შეესწრო. ის დაუყოვნებლივ მივიდა შემთხვევის ადგილზე და მდინარე რიონიდან მოქალაქე ამოიყვანა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „მე არსად წასვლას არ ვაპირებ!“

ნათია ხურცილავა

**– მე ვიქნები იმ ქვეყნის პრეზიდენტი, სადაც ყველა ადამიანის უფლებები დაცული იქნება. – ასე დაიწყო სპორტის სასახლეში გიორგი მარგველაშვილმა თავის ამომრჩეველთან შეხვედრა.**

სპორტის სასახლეში კიდევ ერთხელ ითქვა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები მახინჯი კოჰაბიტაციის დასასრული იქნება. თუმცა, ამჯერად ეს ფრაზა წამყვანმა ნინელი ჭანკვეტაძემ თქვა.

სანამ გიორგი მარგველაშვილი კულისებში იყო, ბიძინა ივანიშვილმა 1 ოქტომბერი და წინასაარჩევნო პერიოდი გაიხსენა. აღნიშნა, რომ მაშინდელი წინასაარჩევნო კამპანია დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავდება. პრემიერმა შემდეგ მის მინისტრთა კაბინეტზე და მიღწევებზე ისაუბრა. სპორტის სასახლეში შეკრებილებს ასევე უთხრა, რომ ნუ გგონიათ, სადმე მივდივარო. ივანიშვილის ამ ფრაზას იქ შეკრებილები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

„ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდა პრემიერმა საზოგადოებას.

– თქვენ იცით, რომ მე ჩემს სათქმელს ყოველთვის ღიად და გახსნილად ვამბობ. ყოველთვის გულწრფელი ვარ და კულუარული გადაწყვეტილებები არ მჩვევია. სიცრუე არასოდეს დამჭირვებია, ეს ჩემი ხალხისთვის არასოდეს მიკადრებია და რადგანაც ჩვენი გუნდის საპრეზიდენტო კანდიდატად გიორგი მარგველაშვილი დავასახელე, ის მიმაჩნია სწორედ ერთადერთ კანდიდატად, რომელიც უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი. არაფერი გამოუვათ მათ, ვისაც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით შეცდომაში უნდათ ხალხის შეყვანა და არასწორი არჩევნის გაკეთებისკენ უბიძგებენ მათ. მე არსად წასვლას არ ვაპირებ. ვურჩევ ყველას, თავი დაანებონ ასეთი მეთოდებით ბრძოლას და პატიოსან ბრძოლაში გაეჯიბრონ გიორგი მარგველაშვილს. გიორგი არის ღირსეული პიროვნება – თანამედროვე, განათლებული, გაწონასწორებული და წესიერი ადამიანი, სუფთა წარსულით. გიორგი მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს. გიორგი მარგველაშვილის გამარჯვება იქნება ჩვენი ქვეყნის საერთო გამარჯვება! გიორგი მარგველაშვილი გახდება საქართველოს პრეზიდენტი და ის ყველას პრეზიდენტი იქნება. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, ხელისუფლება თავისუფალ და უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტის არჩევნებს ჩაატარებს.

– შარშან მე დაგპირდით, რომ გავათავისუფლებდით ქვეყანას მოძალადე ხელისუფლებისაგან, დაგპირდით, რომ ჩვენ ამას შევძლებდით მშვიდობიანად, არჩევნების გზით, კონსტიტუციის ფარგლებში. ჩემი მიზანი იყო, დაგვემთავრებინა ავტორიტარული რეჟიმი და სისხლის ღვრის გარეშე მოგვეპოვებინა თავისუფლება.

მადლობელი ვარ ჩემი გუნდის, რომელიც აბსოლუტურად სწორად შევარჩიე და ამაში არჩევნებში გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი. რომ არა სწორად შერჩეული პოლიტიკური გუნდი, რომ არა მათი მაღალი სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, ჩვენ დღევანდელ დღემდე მშვიდობიანად მოსვლა ძალიან გაგვიჭირდებოდა.

ეს ერთი წელი ბეწვის ხიდზე ვიარეთ ხელისუფლებამაც და ხალხმაც. ჩვენ მოვახერხეთ ცხოვრება კოჰაბიტაციის რეჟიმში, რაც სრულიად უცხო იყო ჩვენი ქვეყნისთვის და შეუძლებლადაც გვეჩვენებოდა. მაგრამ ჩვენ ეს შევძელით! და სიძლიერეც სწორედ ეს არის.

ჩვენმა ხელისუფლებამ თავიდან აიცილა სერიოზული დაპირისპირება და ამ არჩევნებამდე მშვიდობით მოვედით. ეს იყო ჩვენი გუნდის პოლიტიკური ნება. პირველად ამ ოცი წლის განმავლობაში პრეზიდენტი ამთავრებს თავის საკონსტიტუციო ვადას და ჩვენ ვირჩევთ ახალ პრეზიდენტს. ეს უმნიშვნელოვანესი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა კოჰაბიტაციაზეც ისაუბრა.

– ევროპულ ქვეყნებსაც კი, რომლებსაც დემოკრატიაში ცხოვრების მრავალწლიანი გამოცდილება და ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტები აქვთ, დღემდე ძალიან მძიმედ ახსენდებათ ის დრო, როდესაც კოჰაბიტაციის პირობებში მოუწიათ ცხოვრება. სწორედ ამიტომ არის საამაყო, რომ ჩვენ, გაცილებით რთულ ვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობის პირობებში შევძელით კოჰაბიტაცია და მართლაც სასწაული მოვახდინეთ – ეს ნამდვილი გმირობის ტოლფასია. და მე მჯერა, რომ ამაში, ისევ და ისევ, ჩვენი უძველესი კულტურა დაგვეხმარა.

ჩვენ ამ ორ წელიწადში მოვახერხეთ ის, რაც ბოლო 22–წლიანი გამოცდილებით თითქოს სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. ამიტომ, გავკადნიერდები და გეტყვით – მომავალშიც მენდეთ! ჩვენ ქვეყანას ახლა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება სჭირდება, რადგან მოპოვებულ თავისუფლებას გაფრთხილება და შენარჩუნება უნდა, რისი გარანტიც მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი სამოქალაქო საზოგადოებაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ მთელი ჩემი ძალისხმევა ამ საქმეს მოვახმარო და ასე დავეხმარო ჩემს სამშობლოს.

ჩვენ ავირჩიეთ რთული გზა და ეს გზა ჩვენგან დიდ მოთმინებას მოითხოვს. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამ არჩევნით დემოკრატიულ სახელმწიფოს ვუყრით საფუძველს. – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერმა სასამართლოს რეფორმაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით დღეს სასამართლო და პოლიცია სრულიად თავისუფალია პოლიტიკური ზეწოლებისგან.

– ხელისუფლებებს აქვთ ხოლმე ცდუნება, რომ დაიმორჩილონ სასამართლო. ჩვენ კი ნაბიჯ-ნაბიჯ, თანამიმდევრულად, სწორედ სასამართლოს რეფორმით დავიწყეთ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა. დღეს შემიძლია თამამად ვთქვა – სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების ზეწოლისაგან. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვკადრულობთ და არც ვიკადრებთ სასამართლოს საქმეებში ჩარევას, დავაკვირდეთ, არის თუ არა სასამართლო ძველი ხელისუფლების გავლენისაგან ბოლომდე თავისუფალი?! ამ ერთ წელიწადში ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ პოლიცია მთლიანად დეპოლიტიზებულია და ხალხის სამსახურში დგას და ეს არ იყო ადვილი საქმე. ყველას გვახსოვს შარშანდელი წინასაარჩევნო პერიოდი, როგორ უსწორდებოდნენ ჩვენს მხარდამჭერებსა და აქტივისტებს „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერბრიგადები. მაშინ პოლიცია ხალხს კი არ იცავდა, არამედ ხშირად თავადაც აღმართავდა ხელს ოპოზიციურად განწყობილი საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.

ძნელია იმის დავიწყება, როგორ უშენდნენ ქვებს ყველასათვის საყვარელ და საამაყო ადამიანსაც კი – კახა კალაძეს, სხვებსაც, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ თვალი არ დახუჭეს უსამართლობაზე და ხმამაღლა აკრიტიკებდნენ მოძალადე ხელისუფლებას.

ახლა საქმე სხვაგვარადაა – პოლიცია იცავს ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებსა და აქტივისტებს,



რადგან ბევრია მათგან გამწარებული ადამიანი და ჯერ კიდევ დიდია ანგარიშსწორების სურვილი.

ამ სიძნელეების მიუხედავად, თამამად შეიძლება, ვთქვათ, რომ ჩვენ დავამკვიდრეთ ახალი პოლიტიკური კულტურა – დღეს ყველა ოპოზიციურ ძალას აქვს საარჩევნო კამპანიის ჩატარების საშუალება, მათ ინტერესებს სახელმწიფო იცავს და ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს ხელის შეშლის არც ერთი ფაქტი. – განაცხადა ივანიშვილმა.

გიორგი მარგველაშვილს მისი მხარდამჭერები აპლოდისმენტებით შეხვდნენ. სპორტის სასახლეში „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატმა წინასაარჩევნო პროგრამაზე ისაუბრა.

– საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მთავარი – ემსახუროს საზოგადოებას და არა პირიქით – იმსახუროს საზოგადოება. თანამედროვე ელიტური სისტემა უნდა ჩამოვაყალიბოთ, სადაც ცენტრში მოქალაქე დგას. ეს არის დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ადამიანის ყველა უფლებაა დაცული და სადაც ადამიანები მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის შრომობენ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება განუხრელად ვითარდება, სადაც ბიზნესის ინტერესები დაცულია, სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეებზე, პოლიტიკური ვითარება სტაბილურია. ეს არის თანამედროვე გამოწვევა. – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მარგველაშვილის თქმით, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების შენება და სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეების მონაწილეობა უნდა გაგრძელდეს. უნდა მოხდეს ცენტრალიზებული ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, რის გარეშეც დემოკრატია სრულფასოვნად ვერ ფუნქციონირებს.

– ხელისუფლებაში ჩემი ყოფნის პერიოდში ყველანაირად შევუწყობ ხელს დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობას. პრეზიდენტის ძალისხმევა მოქალაქეების სამხედრო-პოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ინდივიდუალური უფლებების დაცვისაკენ იქნება მიმართული. – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

მოგვიანებით კი პრეზიდენტობის კანდიდატმა ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

– ვისაუბრეთ იმაზე, რა იქნება მიღწეული და რა უნდა მიიღწეს მომავალში.

ჩვენ შევხვდით ჩვენს მხარდამჭერებს, ვისაუბრეთ პრინციპში ძალიან ბევრ საკითხზე. როგორც საშინაო პოლიტიკის საკითხები, ისე საგარეო საკითხების ძირითადი ვექტორები მიმოვიხილეთ. ასევე ვისაუბრეთ ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე, განათლებაზე, კულტურის თემებზე. ვისაუბრეთ იმაზე, რა იქნება მიღწეული და რა უნდა იქნეს მიღწეული მომავალში. განსაკუთრებული აქცენტი გავაკეთეთ იმაზე, რანაირად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ქვეყნის განვითარება მდგრადი პოლიტიკური განვითარების კონტექსტში. – განაცხადა მარგველაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მარგველაშვილმა ისაუბრა, საგარეო პოლიტიკაა.

– ჩვენ დავიწყეთ მმართველობის ინსტიტუტების, მედიის, განათლების სისტემის დაწესებულებათა დეპოლიტიზაცია. კონფრონტაციული პოლიტიკის უარყოფით და საგარეო ურთიერთობებში მშვიდობისა და თანამშრომლობის მთავარ პრიორიტეტად აღიარებით, ჩვენ დავიწყეთ ურთულესი საგარეო ურთიერთობების დალაგება. გადავდგით რთული, მაგრამ სწორი ნაბიჯები ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის ფონზე დავიწყეთ სოციალურად ორიენტირებული უპრეცედენტო პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის უმნიშვნელოვანესია სოფლის დახმარების პროგრამა. მისი მეშვეობით უნდა დავძლიოთ სიღარიბე და შიმშილის პრობლემები, შევქმნათ ეკონომიკის განვითარების წინაპირობები. სოფლის დახმარება უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ სოფელი რეალურად ფეხზე დადგება. – განაცხადა მარგველაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე და ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზეც ისაუბრა.

– ჯანმრთელობის დაზღვევის უნივერსალურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ ადამიანებმა იგრძნეს, რომ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ზრუნავს. გაიზარდა სოციალური სფეროს დაფინანსება, პენსიები, სოციალური დახმარება. – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა პრესას განუცხადა, რომ პრემიერ-მინისტრმა დღეს გიორგი მარგველაშვილს ერთგვარად ესტაფეტა გადასცა.

– დღეს მნიშვნელოვანი დღეა არა მხოლოდ კოალიციის მხარდამჭერებისთვის, არამედ მთლიანად მოქალაქეებისთვის. ჩვენ საქართველოს კოალიციის საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატი შევთავაზეთ. დარწმუნებულები ვართ, რომ იმ პასუხისმგებლობისა და ტვირთის ბოლომდე და სწორად სატარებლად, რასაც კოალიცია ქართველ ხალხს შეჰპირდა, გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერა აუცილებელია. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს მარგველაშვილს ერთგვარად ესტაფეტა გადასცა. მან ისაუბრა იმაზე, თუ რა გავაკეთეთ, თავად რას აპირებს და რატომაა მნიშვნელოვანი მარგველაშვილის გამარჯვება. დარწმუნებული ვარ, მარგველაშვილი ამ ესტაფეტას წარმატებით მიიღებს. საქართველოში ერთპარტიული პრეზიდენტების ეპოქა დასრულდება, ის გაიმარჯვებს და საქართველო ყველა მოქალაქის პრეზიდენტს მიიღებს. პრეზიდენტი იქნება ყველა ჩვენგანის სიამაყე და დამცველი. სხვა ასპარეზი იქნება პაექრობისთვის – პარლამენტი, არჩევნები, სასამართლო, პრეზიდენტი კი ჩვენი საერთო პრეზიდენტი იქნება. – განაცხადა უსუფაშვილმა.

თინა ხიდაშელმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე განაცხადა, რომ მას რცხვენია, რომ სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად მუშაობს.

– სააკაშვილს ძალიან იშვიათად ვუსმენ, მაგრამ განსაკუთრებით იმ დღის შემდეგ, როდესაც 4 მინარეთზე ლაპარაკობდა, ნამდვილად, გულწრფელად და სრული სერიოზულობით გეუბნებით, რომ ეს კაცი სრულიად სხვა დაწესებულების კლიენტი უნდა გახდეს ძალიან სწრაფად, რადგან ეს სამარცხვინოა. არ შეიძლება, საკუთარ ქვეყანას ასე მტრობდე; არ შეიძლება, დაპირისპირებული იყო საკუთარ მოსახლეობასთან და მხოლოდ იმიტომ, რომ მოქალაქის კითხვა არ მოგწონს, მას ეძახო, რომ ნაგავში ცხოვრობდიო მანამდე და იგონო აბსოლუტურად გაუგონარი ტყუილები. მრცხვენია, რომ სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტად მუშაობს. ეს ძალიან სწრაფად დასრულდება. – განაცხადა ხიდაშელმა.

– მარგველაშვილის გამარჯვება იქნება გარანტი, რომ ადამიანი იქნება მთავარი ღირებულება. – ამატებს ხიდაშელი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დარწმუნებულია, რომ 27 ოქტომბერს ხალხი ამჯერადაც გონივრულ არჩევანს გააკეთებს.

– საინტერესო დასაწყისი იყო. ჩვენ ამას მიჩვეულები არ ვართ, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატები აქამდე შოუებს დგამდნენ ხოლმე. დარწმუნებული ვარ, რომ ამომრჩეველი ამჯერადაც გონივრულ არჩევანს გააკეთებს. გამარჯვების ბოლო ნაბიჯი 27 ოქტომბერი იქნება. – აღნიშნა თინათინ ხიდაშელმა.

ეკა ბესელიას განცხადებით მთავარი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა.

– დღევანდელი პრეზენტაცია, მომავალი საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენა, ვფიქრობ, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გზავნილი ჩემი ხალხისთვის, რომ იმაზე გაცილებით მეტი გაკეთდება, რაც 10 თვის განმავლობაში გაკეთდა. ის ვალდებულება, რომელიც ჩვენს გუნდს აქვს აღებული ჩემი ხალხის წინაშე, შესრულებული იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია გზავნილი, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა გააჟღერა, რომ ის იქნება ყველას პრეზიდენტი. მთავარი იქნება ადამიანის უფლებების დაცვა. თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური, სამოქალაქო, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ყველა ტიპის უფლება იქნება რეალიზებული. უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება ჩვენს ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი კანდიდატი გაიმარჯვებს და ეს იქნება გარანტი იმისა, რომ ადამიანი იქნება მთავარი ღირებულება. – განაცხადა ეკა ბესელიამ.

# საპრეზიდენტო არჩევნებს ეუთოც დააკვირდება

ნათია ხურცილავა

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოში 16 საერთაშორისო ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფი დააკვირდება.

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებს ეუთოს სადამკვირვებლო მისიაც გაუწევს მონიტორინგს და მოგვიანებით შეფასებასაც დადებს. ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ უკვე დაიწყო მუშაობა.

ამის შესახებ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საპრეზიდენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა მატეო მეკაჩიმ განაცხადა.

– მისია საპრეზიდენტო არჩევნებს ეუთო-ს ვალდებულებებსა და დემოკრატიულ არჩევნებისთვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში შეაფასებს. დამკვირვებლები თვალყურს მიადევნებენ საარჩევნო ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მუშაობას, საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას და საარჩევნო დავების გადაწყვეტას. გარდა ამისა, მისია სადამკვირვებლო საქმიანობის ფარგლებში, მონიტორინგს გაუწევს მედიის მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქებას. მისია მუშაობის განმავლობაში ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდება. არჩევნების დღეს დამკვირვებლები მონიტორინგს გაუწევენ საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემის პროცედურებს, ბიულეტენების დათვლას და შედეგების შეჯამებას ყველა დონეზე. – განაცხადა მეკაჩიმ და აღნიშნა, რომ სადამკვირვებლო მისიის ვალდებულება არა არჩევნების განსჯა, არამედ დაკვირვებაა.




მათეო მეკაჩიმ ასევე განაცხადა, რომ წინასწარი შედეგების და დასკვნების შესახებ განცხადება არჩევნების მომდევნო დღეს გაკეთდება.

მისიის საბოლოო ანგარიში საარჩევნო პროცესის შესახებ კი საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 2 თვის შემდეგ გამოქვეყნდება.

# სვანები ბიძინა ივანიშვილს სიტყვის შესრულებას სთხოვენ

## ხუდონჰესის გარშემო დაპირისპირება გრძელდება

შორენა მარსაგიშვილი

სვანეთის ირგვლივ ვითარება კვლავ დაძაბულია. ადგილობრივი მოსახლეობა და არასამთავრობო ორგანიზაციები ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგ გამოდის. ჰესის აშენების შემთხვევაში, სვანეთის საკმაოდ დიდი ნაწილი დაიტბორება. ხაიშის მოსახლეობამ ხატზე კი დაიფიცა, რომ ჰესს არ ააშენებინებენ. ამ ფიცს 3 დღის წინ კიდევ 20 ადამიანი შეუერთდა.

17 სექტემბერს ხაიშში ხუდონჰესის პროექტის განხილვა იყო დაგეგმილი. მოსახლეობამ პროექტის განხილვა ჩაშალა. გუშინ პროექტის განხილვა თბილისში გაიმართა. პროექტზე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მსჯელობდნენ, სასტუმროს გარეთ კი საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა.

აქციის მონაწილეები ხუდონჰესის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმისა და დიდი ჰესების მშენებლობის აკრძალვაზე „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირების შესრულებას ითხოვდნენ.

აქციის მონაწილეებმა შარშან ბიძინა ივანიშვილის სვანეთში გაცემული დაპირებაც გაიხსენეს. სვანები პრემიერს დანაპირებისა და სიტყვის შესრულებას სთხოვენ.

– ეს არის ისტორიული ადგილები, რომლებსაც სჭირდება მოფერება და მოვლა და არა ჩაძირვა ერთი ჰესის მშენებლობისთვის, – ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა გასული წლის 29 ივლისს გააკეთა.

ახლა კი ამტკიცებს, ხუდონჰესი აუცილებლად უნდა აშენდესო. ჰესებთან დაკავშირებით პრემიერმა პატრიარქის თხოვნაც კი არ გაითვალისწინა და, როგორც თავად ამბობს, ილია II ჰესების მშენებლობის აუცილებლობაში დაარწმუნა. პრემიერი ხაიშელების დარწმუნებასაც გეგმავს. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეხვდება პრემიერი სვანებს.

გუშინდელ აქციაში რამდენიმე ათეული ადამიანი მონაწილეობდა. არასამთავრობოების გარდა, იქ მისული იყვნენ სვანებიც, რომლებიც სვანეთიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ. აქციის მონაწილეებს გამოტანილი ჰქონდათ პლაკატები წარწერით: „შესრულდეს დანაპირები“, „სტოპ ჰესი“, „გადავარჩინოთ სვანეთი“, „არა ხუდონჰესს“.

სვანების განცხადებით, ხუდონჰესის მშენებლობა არ უნდა დაიწყოს, რადგან საქართველოს სეისმურად აქტიური ზონაა, მისი მშენებლობა კი ქანების რყევას გამოიწვევს, ასევე, მთლიანად მოშლის ინფრასტრუქტურას.

მათივე განცხადებით, სვანეთში არც ერთი მცხოვრები ხუდონჰესის მშენებლობას არ დაუშვებს, რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს.

– როდესაც სვანეთს წინასაარჩევნოდ ბიძინა ივანიშვილი ხვდებოდა, მათი პირველი კითხვა ხუდონჰესთან დაკავშირებით იყო. მან ხალხს დაპირება მისცა, რომ ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მათი გადაწყვეტილება გათვალისწინებული იქნებოდა. ჩვენ გვჯერა, რომ ბიძინა ივანიშვილი ხალხის წინააღმდეგ არ წავა. კომუნისტებმა კი თავის დროზე 15-მილიონიანი ინვესტიცია დააკონსერვეს და შეწყვიტეს ხუდონჰესის მშენებლობა, – განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

ამ აქციის ორგანიზება არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოახდინეს. ისინი პროექტის განხილვაზეც იყვნენ მიწვეული. პროტესტის ნიშნად ისინი განხილვაზე არ შევიდნენ.

ხუდონჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვას „ქორთიარდ მარიოტში“ 200-მდე ადამიანი დაესწრო. კომპანია „ტრანსელექტრიკამ“, რომელიც პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო და საექსპლუატაციო სამუშაოებს შეასრულებს, პროექტის გზშ-სთან ერთად, განსახლება-კომპენსაციის გეგმაც წარმოადგინა.

– დარწმუნებული ვარ, ინდივიდუალური მოლაპარაკებით თითოეულ ოჯახთან და საკმაოდ ადეკვატური კომპენსაციით მივაღწევთ დადებით შედეგს. იგეგმება 800 ადამიანზე ნაკლების (220 ოჯახზე ნაკლები) გამოსახლება ხუთი სოფლიდან, რომელიც პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ ჰყვება, რამდენიმე სოფელი კი – ირიბი ზემოქმედების ქვეშ, – განაცხადა „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ დირექტორმა პაატა წერეთელმა.

წერეთელს სვანების მიერ დადებულ ფიცზეც მოუწია კომენტარის გაკეთება, თუმცა ბევრი ვერაფერი თქვა.

– მე არ ვარ კომპეტენტური, ვისაუბრო ფიცის დადების თემაზე. ეს თავად ფიცის დამდებ პირებსა და საეკლესიო პირებს უნდა ჰკითხოთ, ალბათ, ისინი უფრო კომპეტენტური იქნებიან პასუხის გასაცემად, – განაცხადა წერეთელმა.

განხილვას ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილიც ესწრებოდა, რომელმაც 17 სექტემბერს ხაიშში მოსახლეობა ძალიან გააბრაზა. ელოშვილი ამტკიცებდა, რომ თუ აფხაზეთის დაბრუნება გვინდა, ხუდონჰესი უნდა ავაშენოთ.

გუშინ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე კვლავ ჰესების აშენების აუცილებლობაზე საუბრობდა. მისი თქმით, მოსახლეობის შენიშვნები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული.

– შენიშვნებს, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ. თუმცა ზედმეტი მოლოდინი არ უნდა შეექმნათ. მაგალითად, ხშირად არის შემთხვევები, რომ ცალკეული პირები და ოჯახები ცდილობენ, მაქსიმალური სარგებელი მიიღონ და არაადეკვატურ წინადადებებს აყენებენ. ყველაფერს აქვს საზღვარი, – აცხადებს ელოშვილი.

საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი ლაშა ჩხარტიშვილი გახლდათ. ის ხუდონჰესისა და სხვა დიდი ჰესების მშენებლობის



საკანონმდებლო დონეზე აკრძალვას ითხოვს. ჩხარტიშვილის განცხადებით, ელექტროსადგურის მშენებლობა ამ ხელისუფლების საარჩევნო დაპირებების დარღვევაა.

– როგორც საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთმა ავტორმა, შევძელი, კოალიცია ჰესების მშენებლობის აკრძალვაში დამერწმუნებინა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ჰესების მშენებლობა კლიმატის მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევს, საუბარია არამარტო ეკლესიების, სოფლებისა და კულტურული ძეგლების დაზიანებაზე, არამედ მთლიანად სვანეთის კლიმატის ცვლილებაზე, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. სვანეთი სეისმურად აქტიური ტერიტორიაა და დიდი ჰესები ამის მთავარი მაპროვოცირებელია. ხუდონჰესის მშენებლობა თურქეთში მიზერული ელექტროენერგიის გაყიდვისთვის ეროვნული ინტერესების ფეხქვეშ გათელვაა, თუმცა არ გამოვრიცხავ კერძო კომპანიის ინტერესების გათვალისწინებასაც. ბიძინა ივანიშვილმა ხალხის დაკვეთა უნდა შეასრულოს და ჰესის მშენებლობა შეჩერდეს, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, 25 სექტემბერს კანცელარიასთან ხუდონჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა მორიგი აქცია გაიმართება.

კავკასიური სახლის თავმჯდომარე ნაირა გელაშვილმა ხუდონჰესის მშენებლობის საჯარო განხილვისას განაცხადა, რომ ხუდონჰესის მშენებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ მიმდებარე ტერიტორია და სოფლები არ დაიტბორება.

– მე ძალიან კარგად ვიცნობ ჰესების მშენებლობის სპეციფიკას, ხელისუფლებას კიდევ არაერთი ჰესის მშენებლობა აქვს დაგეგმილი, რაც უდიდესი ტერიტორიების დატბორვას გამოიწვევს. ჩვენი ხელისუფლების მიზანი ელექტროენერგიის ექსპორტით დიდი მოგების მიღებაა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა მოვითხოვოთ და ვნახოთ, რა რაოდენობის ელექტროენერგია გვჭირდება და რამდენად საჭიროა ამდენი ჰესის მშენებლობა. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერებაა, – აცხადებს ნაირა გელაშვილი.

### ვის სჭირდება არასამთავრობოების დისკრედიტაცია

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივამ“ ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით დასკვნაც გამოაქვეყნა. ამ დასკვნას „ახალი თაობა“ სრულად გთავაზობთ:

– შინაარსობრივი შენიშვნები სამ ნაწილად შეიძლება დავაჯგუფოთ: სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური. სოციალური საკითხი – ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხია და მეორე პლანზე აყენებს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ რისკებს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პირდაპირი (უშუალოდ დატბორვის ზონაში) და ირიბი ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ხაიშისა და ჭუბერის თემის სოფლები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, ტყის მასივები, ორი ეკლესია, საფლავები, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, მათ შორის, შუასაუკუნეების ხაიშში ციხე და ხაიშში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, I საუკუნით დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლი, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, ხოლო გადასახლება მოუწევს დაახლოებით 2000-ზე მეტ ადამიანს, რაც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს პოლიტიკური რისკების გაზრდას ქვეყნისთვის. გზშ ანგარიშთან ერთად არ გამოქვეყნებულა განსახლების გეგმა, რაც გზშ განხილვას საერთოდ აზრს უკარგავს.

ერთი მხრივ, პროექტის განმახორციელებლები საუბრობენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და მისი სტანდარტების გამოყენებაზე. თუმცა პროექტის განმახორციელებელთა მიერ გამოყენებული მეთოდიკა ძალიან შორს დგას, როგორც მსოფლიო ბანკის, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობისგან, რომელიც მოითხოვს გასასახლებელ პირებთან დეტალურ, მიზნობრივ კონსულტაციებს, მონაწილეობის შესაძლებლობას განსახლების პროგრამის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ხაზგასასმელია, რომ პროექტისათვის საჭირო 1500 ჰექტარი მიწა და მასზე განლაგებული უძრავი ქონება, მათ შორის ადგილობრივ მაცხოვრებელთა ქონება და ასევე 178 მილიონ აშშ დოლარად შეფასებული სამუშაოები, რომელიც გაწეულ იქნა საბჭოთა პერიოდში ხუდონჰესის საპროექტო არეალში, სიმბოლურ 1 აშშ დოლარად გადაეცა ინვესტორ კომპანიას. ამასთან, ქვეყანას არ გააჩნია რაიმე სტრატეგია ინფრასტრუქტურული პროექტებით გამოწვეული განსახლების საკითხებთან დაკავშირებით.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აბსოლუტურად ინერტულია ამ მიმართულებით და საერთოდ არ მონაწილეობს ხაიშის თემის პრობლემის გადაწყვეტის საკითხებში.

ეკონომიკური საკითხები – არ ჩანს, რა სარგებლობას მიიღებს პროექტის განხორციელების საქართველო, როგორც სახელმწიფო. პროექტი ცალსახად მნიშვნელოვანი და მომგებიანია ინვესტორისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ავტომატურად, რომ სახელმწიფოსთვისაც მომგებიანია. მეტად სადავოა მტკიცება ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ყოველწლიურ 10%-იან ზრდასთან დაკავშირებით. ტენდენციურია მტკიცება ხუდონჰესის პროექტისა და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მიმართების შესახებ. არსებული დოკუმენტაციიდან ცხადია, რომ პროექტი გამიზნულია ელექტროენერგიის ექსპორტისათვის. არ არის განხილული ქვეყნის ენერგოდეფიციტის შევსების ისეთი ალტერნატივები, როგორიცაა ენერგოეფექტურობა და არსებული ჰესების სრული რეაბილიტაცია. ამრიგად, ხუდონჰესი ეკონომიკური თვალსაზრისით გარკვეული სარგებლის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, რაც გამოიხატება ქონებისა და საშემოსავლო გადასახადების ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში მობილიზებით. პროექტს ექნება უმნიშვნელო მაკროეკონომიკური სარგებელიც, მშპ-ის ზრდის თვალსაზრისით (არა იმ მოცულობით, რაც გზშ ანგარიშშია მოცემული), თუმცა იმ ზარალის ფონზე, რაც პროექტის განხორციელებით მიადგება რეგიონსა და მთლიანად ქვეყანას, პროექტის სარგებელი მიზერულია.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით არ მუშაობს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო შესაბამისი ანალიზი არ გაუკეთებია. საზოგადოდ, როდესაც უცხოური ინვესტიციები დაკავშირებულია მხოლოდ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასთან, ეს არანაირად არ ნიშნავს ჯანსაღ და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, მით უმეტეს, როდესაც საქართველოს ზომის ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე სურვილს გამოთქვამენ ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი და სხვა გიგანტი ქვეყნები. ენერგეტიკის სამინისტროს დღემდე არ შეუმუშავებია ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ხოლო 2001 წლის შემდეგ არ შედგენილა ქვეყნის ენერგო-ბალანსი.

ეკოლოგიური საკითხები – განხორციელების შემთხვევაში, ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანი იქნება შეუქცევადი და მისი აცილება შეუძლებელია შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით. აუცილებელი იქნება საკომპენსაციო ღონისძიებების გატარება, რაც პირველ რიგში გულისხმობს ზემო სვანეთის ტერიტორიაზე დიდი ფართობის, მაღალი კონსერვაციული სტატუსის (ნაკრძალი, ეროვნული პარკი) დაცული ტერიტორიების შექმნას. სამწუხაროდ, დღემდე სვანეთის ტერიტორიაზე არ არსებობს არც ერთი კვადრატული მეტრი დაცული ტერიტორია. ჯანსაღი, ხელუხლებელი ეკოსისტემების დაცვა არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ ჰიდროპროექტების ფუნქციონირებისათვის: მეტი ჯანსაღი და დაცული ტყე ნიშნავს მეტ წყალს, ნაკლებ ღვარცოფსა და მეწყერს და ნაკლებ სედიმენტს. ამ რეკომენდაციას იძლეოდა ჰოლანდიის გარემოზე ზემოქმედების კომისიაც. ასევე ხუდონჰესის პროექტის ავტორი, ბატონი ანზორ ტყებუჩავაც აღნიშნავს, რომ საბჭოთა პერიოდში იგულისხმებოდა, რომ ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში ენგურის ზედა დინებაში (მისი შენაკადების ჩათვლით) სხვა ჰესი არ უნდა აშენებულიყო.

ხელისუფლება ამ მიმართულებითაც არაფერს არ აკეთებს, ხოლო ენერგეტიკის სამინისტრო კი საპირისპირო პოლიტიკას ატარებს: რამდენიმე დღის წინ დადო მემორანდუმი ნენსკრას შესართავებზე ჰესების მშენებლობაზე, ასევე ინიცირებას უკეთებს ნენსკრას ჰესს და სხვა მრავალ ჰესს ზემო სვანეთში. ზემო სვანეთში რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი, მათ შორის ხუდონის სატყეო, გაცემულია ხე-ტყის დამზადების ხანგრძლვადიანი ლიცენზიებით.

პროცედურული დარღვევები ხუდონჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვა მიმდინარეობს სერიოზული პროცედურული დარღვევებით, ადგილი აქვს მაღალი თანამდებობის პირების მიერ უფლებამოსილებების გადამეტებას, რაც იწვევს ზეწოლას ადგილობრივ მოსახლეობაზე და უხეშად არღვევს მათ უფლებებს. ზეწოლა ხდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროზეც.

კანონმდებლობის მიხედვით, პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) შემდეგ. გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ატარებს ინვესტორი. გზშ ანგარიშს განიხილავენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის (ამზადებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გაცემაზე). კანონმდებლობის თანახმად, ენერგეტიკის სამინისტროს არ გააჩნია უფლებამოსილება, რომ მიიღოს მონაწილეობა და მით უმეტეს, წარმართოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი. აღსანიშნავია, რომ წინა დღეებში განცხადებები გააკეთეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა და ენერგეტიკის მინისტრმა. მათ თანახმად, ხუდონჰესის აშენება უკვე გადაწყვეტილი საკითხია. 17 სექტემბერს ხაიშში დანიშნული საჯარო განხილვის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე, გამგეობის შენობის წინ მივიდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი და შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა, რომ კაშხალი ყველა შემთხვევაში აშენდება. იგივე გაიმეორა მან შეხვედრის მიმდინარეობისაც. განხილვის მთავარი მომხსენებელი გახდა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე და არა ინვესტორის წარმომადგენლები. მინისტრის მოადგილე, ნაცვლად დაზარალებული მოსახლეობის შენიშვნებისა და პრობლემების მოსმენისა, ეკამათებოდა ყველას, ვინც გამოხატავდა შეშფოთებას პროექტის მისამართით და ამტკიცებდა პროექტის განხორციელების გარდაუვალობას. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიურად იქცეოდა გასულ წელს ხუდონჰესის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი. ხაიშში შეკრებილი საზოგადოების გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლა მოახდინეს შსს-ს წარმომადგენლებმაც. ყოველივე ეს ძირს უთხრის მთელ გზშ პროცესს და წარმოადგენს სხვადასხვა მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას.

შეხვედრის დღეს და მომდევნო დღეს მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება სიძულვილის ენის გამოყენებით, რომელიც მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციას და შეურაცხყოფას.

განხილვის პროცესში დაფიქსირებული უკანონობებისა და ადამიანის უფლების შემლახავი ფაქტების გამო მწვანე ალტერნატივა მიმართავს სახალხო დამცველს დაუყოვნებელი გამოძიების მოთხოვნით.

მივმართავთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, სხვადასხვა დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მკაცრი მონიტორინგი აწარმოონ ხუდონჰესის პროექტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე, – ნათქვამია დოკუმენტში.

# სახალხო კრება დავით უსუფაშვილს მიმართავს




სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭო, წინასაარჩევნო ვითარებასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილსა და საპარლამენტო უმრავლესობას ღია წერილით მიმართავს, სადაც საბჭო არათანაბარ წინასაარჩევნო გარემოზე საუბრობს.

სახალხო კრება პარლამენტს საარჩევნო კანონის უმოკლეს დროში სრულყოფისკენ მოუწოდებს.

„გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ ვითარებას, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა. სატელევიზიო სივრცეში საპრეზიდენტო კანდიდატებისათვის არათანაბარი პირობები ხელოვნურად იქმნება. კოჰაბიტაცია, რომლის დასრულებასაც „ქართული ოცნება“, ახლა უკვე 27 ოქტომბერს გვპირდება, სამწუხაროდ ორი სახელისუფლებო საპრეზიდენტო კანდიდატის უპირატეს პირობებში ჩაყენებითაც თვალნათლივ სჩანს.

რიგის კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი „მე-9 არხის“ დახურვა ასე დაასაბუთა: „წინაასაარჩევნოდ უარი ვთქვი ტელევიზიაზე, რადგან მინდოდა თანაბარ პირობებში ყოფილიყო ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი, მათ შორის ჩვენი კოალიციის კანდიდატიც.“ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მე-9 არხს ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ დაუბალანსებელი ინფორმაციის გავრცელებასა და ტენდენციურობაში.

სახელისუფლებო პოლიტიკური ძალები, რომლებიც ისედაც, რბილად რომ ვთქვათ, არ განიცდიან ფინანსებისა და ე.წ. შემოწირულობების სიმწირეს, ხოლო ბოლო დროს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით კი პრაქტიკულად გაიოთხმაგეს შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დამატებით სარგებლობენ უფასო სარეკლამო დროით ტელევიზიებში. ამ ფონზე საპრეზიდენტო კანდიდატ ნინო ბურჯანაძეს საკუთარი ხმის მისაწვდენად საქართველოს მოსახლეობისათვის, წუთში რამდენიმე ათასი დოლარის გადახდა მოუწევს, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

იმ ვითარებაში, როდესაც ორი სახელისუფლებო პარტია სრულად აკონტროლებს საარჩევნო კომისიებს, ბიუჯეტიდან ჰყავთ დაფინანსებული 22 ათასი დამკვირვებელი, რაც პრაქტიკულად მთელი არმიაა, ერთ შემთხვევაში მინისტრები, ხოლო მეორე შემთხვევაში გამგებლები ჩართულები არიან მათ წინასაარჩევნო კამპანიებში, წარმოუდგენელია საუბარი თანაბარ და სამართლიან წინასაარჩევნო გარემოზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მუდმივად აღვნიშნავთ და პოზიტიურად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ ნამდვილად მოიხსნა ქვეყანაში შიში და ტერორი ვსვამთ კითხვას: განა არის ეს სამართლიანი არჩევნებისათვის საკმარისი?

კოალიცია „ქართული ოცნებაში“ შემავალმა პარტიებმა, რომლებიც თავის დროზე სააკაშვილის ხელისუფლებას სთხოვდნენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას ყველასათვის ცნობილი რვიანის, ხოლო შემდეგ ექვსიანის ფორმატში, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არაფერი გააკეთეს მაშინდელი თავიანთივე მოთხოვნების ასასრულებლად.

ახლა ვინ გიშლით ხელს ბატონებო, რომ წლების მანძილზე თქვენივე შემუშავებული მოთხოვნები შეიყვანოთ ძალაში, რომ ქვეყანაში მართლაც ჩატარდეს დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები? თუ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაგავიწყდათ, რომ საარჩევნო სიები გამოსასწორებელია და ე.წ. მოგელაძის კანონი ისევ მოქმედებს?

ბატონებო! მოგიწოდებთ უახლოეს დღეებში მიიღოთ სამართლიანი შესწორებები საარჩევნო კოდექსში, რათა ყველა კანდიდატს მართლაც თანაბარი პირობები ჰქონდეს, ხოლო რაც შეეხება ჩვენს საპრეზიდენტო კანდიდატს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ნებისმიერ შემთხვევაში, პირველი ტური იქნება ეს თუ მეორე მაინც გაიმარჯვებს. გაიმარჯვებს იმიტომ, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია იმაში, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ნინო ბურჯანაძე მართლა დაამკვიდრებს სამართლიანობას ყველგან და ყველასათვის!“ – ნათქვამია სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს მიმართვაში.

**პირველი**

# ნინო ბურჯანაძე: „მე შევასრულებ ხალხის უმთავრეს მოთხოვნას და სამართლიანობას აღვადგენ“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გუშინ ამომრჩევლებს რაჭაში შეხვდა. როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მიუხედავად უამრავი ყოფითი პრობლემისა, ხალხს პირველ რიგში უსამართლობის განცდა აწუხებს და ისინი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ.

„ძალიან თბილი შეხვედრები იყო რაჭაში, ამბროლაურშიც და ონშიც. თქვენ ხედავდით ადამიანების განწყობას, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ყველანი ვხედავთ როგორ უჭირთ მათ, როგორი მძიმე პირობები აქვთ და რამდენი პრობლემა აწუხებთ. განსაკუთრებით მძიმე ვითარება მთაშია. აუცილებელია, რომ მთას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, ამუშავდეს მთის კანონი და კიდევ ბევრი რამ გაკეთდეს. სხვა რომ არაფერი, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც პრაქტიკულად მესაზღვრეების როლსაც ასრულებენ ქვეყნის ამ ტერიტორიაზე. მე ვპირდბი მოსახლეობას, რომ ყველა იმ პრობლემას, რომელსაც ისინი აყენებენ, ნამდვილად მივიტან გულთან ახლოს. მე მათ სამართლიანობის აღდგენას ვპირდები. მე ვიცი, როგორ უნდა მოვუარო მათ პრობლემებს და მე აღვადგენ სამართლიანობას ყველგან და ყველასთვის, რადგან ეს ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა. მე მართლაც გაოცებულიც და აღფრთოვანებულიც ვარ და უდიდეს პატივისცემას გამოვხატავ ამ ადამიანების მიმართ, რადგან ყველას ძალიან კარგად ესმის, რომ თუ არ იქნება სამართლიანობა, არ იქნება არც ეკონომიკური წინსვლა და არც ნორმალური განვითარება. ხალხი პირდაპირ აღნიშნავს, რომ თუ იქნება სამართლიანობა ქვეყანაში, იქნება ბარაქაც და უკეთესი ცხოვრებაც. ასე რომ, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, მე აღვადგენ სამართლიანობას!“– განაცხადა ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს.

**ნიუსპრესი**

# საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კვლევაში მარგველაშვილი და ბურჯანაძე ლიდერობენ

„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის 29,4 პროცენტით გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს, რომელსაც დაახლოებით 1,5 პროცენტით ჩამორჩება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. კვლევის თანახმად, ბურჯანაძეს საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს გამოკითხულთა 27,9 პროცენტი უჭერს.

ლიდერთა სიის მესამე ნომერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი დავით ბაქრაძეა 9,4 პროცენტიანი მხარდაჭერით.

„ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბმა“ აღნიშნული კვლევა დაახლოებით 1 თვის წინ, 5 აგვისტოდან 15 აგვისტომდე პერიოდში, მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა. გამოკითხვაში მონაწილეობა 3 400-მა ადამიანმა მიიღო, ხოლო კვლევის ცდომილების მაქსიმალური მაჩვენებელი 2-3 პროცენტით განისაზღვრება.

**ნიუსპრესი**

# მაგთიკომის მომხმარებლებს ისანში ახალი ოფისი მოემსახურება

## მაგთიკომის მომხმარებელთა რაოდენობა უწყვეტად იზრდება და უკვე 3 მილიონს აჭარბებს

**მომხმარებელთა კიდევ უფრო მეტი კომფორტისთვის კომპანია მაგთიკომის ოფისების ქსელის გაფართოებას განაგრძობს. ამჯერად ახალი ოფისი თბილისის ისნის რაიონში, ყველაზე ხალხმრავალ ადგილზე, მეტროს მიმდებარედ გაიხსნა. წითელი ლენტი თავად მაგთიკომის პრეზიდენტმა დევიდ ლიმ გაჭრა. მანვე მაგთის მოდემით დაასაჩუქრა პირველი მომხმარებელი, რომელმაც ახალ ოფისში პირველი სიმბარათი შეიძინა. ამჟამად კომპანია მაგთიკომს საქართველოს მასშტაბით 46 ოფისი აქვს. აქედან უკვე 11 ოფისი თბილისში, ხოლო 35 — რეგიონებში ფუნქციობს. ამასთანავე მომხმარებელთა მომსახურებას უზრუნველყოფს 4 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები.**

მაგთიკომის მომხმარებელთა რაოდენობა უწყვეტად იზრდება და უკვე 3 მილიონს აჭარბებს. კომპანიის მომხმარებლებს სერვისების მართვა დამოუკიდებლადაც შეუძლიათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ოფისები დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან. სწორედ მათთვის, მეტი კომფორტისა და მომსახურების მიღების გამარტივებისთვის, კიდევ ერთი ახალი ოფისი გაიხსნა.

**ნინო სურგულაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი:** „კომპანია „მაგთიკომი“, როგორც ყოველთვის, ახლაც ზრუნავს თავი მომხმარებელზე, რომელთა რაოდენობა უკვე სამ მილიონს აჭარბებს. ჩვენ მიზანია, „მაგთიკომის“ მომსახურება უფრო ხელმისაწვდომი იყოს ჩვენი აბობენტებისთვის. ამიტომაც კიდევ ერთი ოფისი ავამოქმედეთ, ამჟამად უკვე ისნის რაიონში, მეტროსთან, რომელიც ყოველდღე იმუშავებს და ყველა მსურველს მოემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ მაგთიკომის სერვისების მართვა მომხმარებელს დამოუკიდებლად, ინტერნეტიდან ან მობილურიდინაც შეუძლია, ჩვენი ოფისების ქსელს მაინც ვაფართოებთ.




ეს უკვე მეთერთმეტე ოფისია თბილისში და რეგიონებში კი 35 ოფისი გვაქვს. ანუ, სულ ჯამში 46. ეს ადგილი შემთხვევეით არ აგვირჩევია, გვინდოდა აბონენტებისთვის ჩვენი სერვისი ხელმისაწვდომ ადგილას შეგვეთავაზებინა. ჩვენს მომხმარებლებს საჭიროების შემთხვევაში, ყველაზე ხშირად რუსთაველის გამზირზე უწევდა წასვლა, ეს ეხება როგორც ისანის, ისე ვარკეთილის, ისე ვაზისუბნისა და ლილოს დასახლებაში მცხოვრებლებსაც. აქ ერთი ფანჯრის პრინციპი მოქმედებს და გადაადგილებაც არ დასჭირდებათ. ყველანაირი ტიპის მომსახურებას, გადახდის ჩათვლით, აქ მიიღებენ. ამ ოფისის გახსნით რუსთაველიც ძალიან განიტვირთება.



*– ამჟამად რა მდგომარეობაა საკომუნიკაციო ბაზარზე პორტირებული აბონენტების მიხედვით?*

– დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენს მობილურ ოპერეტორებზე ყველზე მეტი აბონენტი აკეთებს პორტირებას. ღოგორც უკვე აღვნიშნე, მაგთიკომს 3 მილიონზე მეტი აბონენტი ჰყავს, მათ შორის 172 000-ზე მეტი – სხვა ქსელებიდან არიან პორტირებული. ეს რიცხვი ჩვენგან გადაპორტირებულებს რამდენჯერმე აღემატება.

*– კიდევ რა სიახლეებს უნდა ელოდნონ თქვენი აბონენტები უახლოეს პერიოდში?*

– წინასწარ არ მიჰნდა ვთქვა, მაგრამ ოქტომბერში ძალიან სიახლებს ვგეგმავთ, რასაც სიურპრიზად დავტოვებ, თუმცა დავსძენ, რომ ეს სიახლები ძალიან გაახარებს ჩვენს აბონენტებს.

წითელი ლენტის გაჭრის შემდეგ, ახალ ოფისში შემოვიდა, **კომპანია „მაგთიკომის“ პრეზიდენტი დევიდ ლი,** რომელმაც ახალ თანამშრომლებს სამსახურის პირველი დღე მიულოცა: „ძალიან მიხარია, რომ „მაგთიკომს“ ქალაქის ცენტრში ახალი ოფისი აქვს. ჩვენთვის მომხარებლის მომსახურების პირობების გაუმჯობესება არის ნომერ პირველი მიზანი. ამიტომ, განსაკუთრებით მიხარია, რომ „მაგთიკომმა“ ქსელი კიდევ ერთი ახალი ოფისით გააფართოვდა. ამაზე გაჩერებას რა თქმა უნდა, ვაპირებთ და შევეცდებით, მომხმარებლისთვის მეტი და მეტი კომფორტი შევქმნათ. მომსახურების ყველა ოფისი სრული დატვირთვით მუშაობს და დღის განმავლობაში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან.

ამასობაში მაგთის ახალ ოფისში, **ნავთლუღის ქუჩის 5-7-ში,** პირველი აბონენტიც გამოჩნდა...

პირველ მომხმარებელს ახალი სიმ ბარათი ტელეფონში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩადებული, როცა მას კომპანიის პრეზიდენტმა საჩუქრად მაგთის მოდემი გადასცა.

**გიორგი ბაბაშვილი:** „ჯეოსელის“ აბონენტიც ვარ, მაგრამ რადგან ისანში მაგთიკომის ახალი ოფისი გაიხსნა, გადავწყვიტე, მისი აბონენტი გავმხდარიყავი. ამიტომაც, მოვედი აქ... მიხარია, რომ პირველი ვარ, ყველას დავასწარი ახალი ოფისის პირველი აბონენტის მომსახურებაც დავიმსახურე და საჩუქარიც. საჩუქრად გადმომცეს მოდემი და ძალიან მიხარია, რადგან ისეთი პრაქტიკული ნივთია, რომელიც თანამედროვე ცხოვრების პირობებში ყველას სჭირდება.

**ანა ვაჩნაძე**

# კახა კუკავა: „ივანიშვილის გუნდი სახიფათო თამაშს თამაშობს“

## „ქართული ოცნება ისეთივე სალანძღავი სიტყვა იქნება, როგორიც ნაციონალური მოძრაობა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

***— ბატონო კახა, რაც უფრო ცოტა დრო რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მით უფრო ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ პოლიტიკურ ქაოსზე. როგორია თქვენი შეფასებები ქვეყანაში მიმდინარე ბოლო პერიოდის პროცესებზე?***

— კონკრეტულად საპრეზიდენტო არჩევნებს რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით არაერთხელ გამომითქვამს ჩემი პოზიცია და ვთვლი, არ არის წარმოდგენილი ის კანდიდატები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქვეყნის განვითარებას. თუმცა ეს ყველაფერი წინასწარი ვარაუდებია და ყველა ადამიანმა თვითონ უნდა დაადასტუროს, პრეზიდენტი იქნება ის თუ სხვა თანამდებობის პირი, პრაქტიკული მოღვაწეობის დროს რისი გაკეთება შეუძლია. ისეც ხდება ხოლმე, რომ ხანდახან ადამიანზე ცუდი წარმოდგენა აქვთ და ის კარგად გაუძღვება საქმეებს და ანდა პირიქით, დიდი მოლოდინი აქვთ და შემდგომ არ გამართლდება ხოლმე. ასე იყო მაგალითად ივანიშვილზე, ქართველ ხალხს ეგონა, რომ რძის და შოკოლადის მდინარეები წამოვიდოდა პირველი ოქტომბრის შემდგომ, მაგრამ ყველა ვხედავთ, რაც ხდება. შეიძლება მარგველაშვილის შემთხვევაში პირიქით მოხდეს, ვნახოთ, დიდი მოლოდინები არ არის მის მიმართ, თუმცა საბოლოო ჯამში მას ექნება იმისი შანსი, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ გამოაჩინოს თუ რაიმე შეუძლია. პრესა ამას არ აშუქებს და მე ვეცნობი პარლამენტი რა კანონპროექტებს განიხილავს. ასეულობით საკანონმდებლო აქტში შედის ცვლილებები, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტის უფლებები ყოველდღიურად მცირდება.

***— საუბარია, რომ სრულიად უუფლებო პრეზიდენტი გვეყოლებაო...***

— კასტრაციის გარდა ყველაფერი გაუკეთეს პრეზიდენტის ინსტიტუტს და რა აზრი აქვს ამ საპრეზიდენტო არჩევნებს უკვე ამაზეც კითხვის ნიშანი დგება. საქართველოში ყველაფერს უკუღმა ვაკეთებთ. მაგალითად, მარეგულირებელ ორგანოს ადრე ნიშნავდა პრეზიდენტი, ახლა შეიცვალა და ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ეს არის სრული აბსურდი. მარეგულირებელი ორგანოები სხვადასხვა სფეროში იქმნება იმისათვის, რომ მათ მთავრობა გააკონტროლონ. ერთი კვირის წინ მაგალითად, სემეკის თავმჯდომარე – მილორავა, პრემიერ-მინისტრმა დანიშნა. ეს დაახლოებით ისეთი მდგომარეობაა, მკვლელმა რომ პროკურორი დანიშნოს.

***— რატომ გვიტოვებენ ასე უუფლებო პრეზიდენტს?***

— არ ვიცი, ამის შესახებ განმარტება არავის არ გაუკეთებია. მე ვფიქრობ, რომ ეს იმ სქემას ემსახურება, რომელი სქემის მიხედვითაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს ყველაფერი. დღეს ჩვენი კონსტიტუცია რომ შევადაროთ არც ერთ ევროპული ქვეყანას არ მოერგება, ის უფრო შესაბამისობაში მოდის სიცილიური მაფიის სტრუქტურასთან. სადაც არის ასეთი რამ, რომ არის დონი, რომელიც ზის თავის აგარაკზე და იქიდან მართავს, არის კონსოლიერი, რომელიც იქნება პრემიერ-მინისტრი სავარაუდოდ, რომელიც კულუარშია, მაგრამ რეალურად არის საქმეთა მმართველი. ხოლო პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ამ კონფიგურაციაში ზედმეტი და ამიტომ ხდება მისი სრული კასტრირება. ეს სწორედ ისაა, რასაც პარლამენტი აკეთებს და ქართული ოცნება ისეთივე სალანძღავი სიტყვა იქნება, როგორც ნაციონალური მოძრაობა.

***— თუმცა გამოითქვა ვარაუდები, რომ ოცნებას ბურჯანაძის გაპრეზიდენტების ეშინია და ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ პრეზიდენტი უუფლებო იყოსო...***

— მე არა მგონია, რომ ბურჯანაძის პრეზიდენტობას სერიოზულ საფრთხედ აღიქვამდეს დღევანდელი მმართველი გუნდი. ისინი ამ საფრთხეს ვერ ხედავენ. ეს არ არის რაღაცა კონცეპტუალური ფორმა, რომ ასეთნაირად მიაჩნიათ რომ პრეზიდენტი უნდა იყოს. ვიღაცამ თქვა ზოგადად, რომ პრეზიდენტი უნდა დასუსტდეს, თუ გადახედავთ პარლამენტში რა კვალიფიკაციის იურისტები არიან წარმოდგენილნი, მაშინ აღარ უნდა გაგიკვირდეთ, რატომ მიიღება ასეთი კანონპროექტები. საერთოდ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ფიზიკოსია...

***— რამდენად ვდგავართ პოლიტიკური ქაოსის წინაშე?***

— რა გითხრათ, იმდენი საუბრობს უკვე ამის შესახებ, რომ ახალი რაღა ვთქვა. ამისი საფრთხე რომ არსებობს, დღესავით ნათელია. თუ უმრავლესობა თვლის, რომ ქაოსის საფრთხე არსებობს, ესე იგი მართლაც არსებობს საფრთხე მინიმუმ. რაც შეეხება იმას, მართლა დაიწყება თუ არა ეს ქაოსი, ეს დამოკიდებულია იმაზე, მომავალი პოლიტიკური გუნდი რამდენად გაართმევს თავს ქვეყნის მართვას. ამაზე შეფასებების გაკეთება ძალიან რთულია, იმიტომ, რომ არავინ არ ვიცით, ვინ არის ეს მომავალი პოლიტიკური გუნდი, რა კონფიგურაცია იქნება. პრემიერ-მინისტრი ხუმრობს ამ თემაზე, ხან ამბობს, რომ რკინიგზის დირექტორი იქნება პრემიერ-მინისტრი, ხან ეკონომიკის მინისტრი და ძალიან ძნელია, ჩვენ პროგნოზები ვაკეთოთ, თუ რა მოხდება საქართველოში, როცა არაფერი ცნობილი არ არის. არ არის ცნობილი, ვინ იქნება პრემიერი, ვინ იქნებიან მთავრობის წევრები. ქაოსი თავისთავად გაურკვევლობის გამოც იბადება ხოლმე. მით უფრო რომ საქართველოში უკვე არის ქაოსი რაღაც დოზით. ის რომ საქართველოში ინვესტორები არ შემოდიან, ეს ისეთი ფაქტია, რომელსაც მთავრობის ხელმძღვანელებიც ვერ გაურბიან და ეს მათთვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა. როდესაც ქაოსზე დამოუკიდებელი ექსპერტები საუბრობენ, ისინი გულისხმობენ არა მარტო ინვესტიციების კლებას, არამედ ბევრად უფრო მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორიცაა სამოქალაქო დაპირისპირება, კრიმინოგენური ვითარების ზრდა, საპარლამენტო უმრავლესობის დაშლა და არამყარი მთავრობის ფორმირება. ეს ყველაფერი არის რეალობა, რომელიც შესაძლებელია მოხდეს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც არსებობს არასტაბილური მთავრობა. ბელგიაში იყო ბოლო წლების მანძილზე, რომ ორი წელი არ ჰყავდა მთავრობა, მაგრამ კარგად ხვდებით, რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი ფუფუნება, როგორც ბელგიას, რომელიც ევროპის შუაგულში მდებარეობს და მყარი ინსტიტუტები მართავენ. საქართველოში ჯერჯერობით არანაირი მყარი ინსტიტუტები არ არსებობს, ყველაფერი ჩამოკიდებულია პიროვნებებზე. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ მმართველი გუნდი სახიფათო თამაშს თამაშობს.



***— თქვენ უმრავლესობის დაშლა ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, ივანიშვილის წასვლის შემდეგ მმართველი გუნდი ერთიან სახეს ვერ შეინარჩუნებს?***

— რთული სათქმელია, რა უნდა შეინარჩუნონ, რადგან ყველამ მშვენივრად ვიცით, რომ ეს გუნდი შეიქმნა ივანიშვილის მიერ და ყველამ კარგად ვიცით, რამდენ ნულიანი ციფრი ჩაირიცხა ამ პარტიების საბანკო ანგარიშებზე. ამით მოხდა მაშინ კოალიციის ფორმირება და არა რაიმე იდეოლოგიური ან პოლიტიკური მიზნების თანხვედრის გამო. ამიტომ როცა ეს ფაქტორი გაქრება ქართული პოლიტიკიდან, რამ უნდა უბიძგოს ერთიანობისაკენ გუბაზ სანიკიძეს და თინა ხიდაშელს, ცოტა გაუგებარია. სავარაუდოდ, რა თქმა უნდა, მოხდება კოალიციის დაშლა.

***— ასევე დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობაო, თუმცა ამას არ იზიარებს ქართული ოცნება და არც ნაციონალური მოძრაობა...***

— კი, რა თქმა უნდა, პრაგმატულად არც ერთი მათგანის ინტერესებში ვადამდელი არჩევნები არ შედის, თუმცა თუ ქვეყანაში ქაოსური ვითარება განვითარდა, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იძულებული იქნება ხელისუფლება, რომ ვადამდელი არჩევნები ჩაატაროს. ოღონდ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ვადამდელი არჩევნები ეს არის უკვე, როგორც ქირურგიული ჩარევა საკითხის გადაწყვეტის. თუ ვადამდელ არჩევნებამდე ქვეყანაში დაიწყო კრიმინალი, ინფლაცია და სამოქალაქო დაპირისპირება, ვადამდელმა არჩევნებმა შეიძლება ეს შეაჩეროს, მაგრამ უკან პროცესებს ვერ დაიწყებს. ამიტომ მე არა მგონია, ვადამდელი არჩევნები იყოს ამისი გამოსავალი. უკეთესი იქნება ვადამდელ არჩევნებამდე და ქაოსამდე საქმე არ მივიდეს და ისე იქნეს მოძებნილი გამოსავალი. თუ ეს პროცესები დაიწყო და ამპუტაცია ჩაუტარეს ქვეყანას, როგორც ორგანიზმს და ვადამდელი არჩევნების გზით პროცესის ცვლილება დაიწყო, რა თქმა უნდა, ეს სწორი გამოსავალი არ არის.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაართვა ახალმა ხელისუფლებამ თავი ქვეყნის მართვას? სათავეშივე იყო დაშვებული შეცდომები?***

— რას ვერ გაართვა, მათი ამოცანა არც იყო ქვეყნის მართვა. ამას ახლა ისტორია გამოაჩენს უახლოესი ხუთი-ათი წლის განმავლობაში. როგორც ხდება ხოლმე, გამოჟონავს ან გამოაჟონინებენ დაზვერვის ინფორმაციებს და ეს სურათი უფრო საერთო ფორმას მიიღებს. თუმცა ჩემი ვარაუდები ჩათვალეთ მანამდე პასუხად, ვიდრე ეს დადასტურდება, რომ ჩემი აზრით, არც იყო ივანიშვილის სურვილი და ამოცანა ქვეყნის სათავეში მოსულიყო. მან შეასრულა გარკვეული დავალება ქვეყნის გარედან, რომ ეთამაშა ერთგვარი ტრანზიტული ფუნქცია სააკაშვილის მშვიდობიანი, სისხლის ღვრის გარეშე გაშვებისა და დგას მეორე ამოცანა, რომ ხელისუფლება უნდა გადაეცეს სხვა პოლიტიკურ ძალებს. ქვეყანას არ მართავს დღეს მთავრობა, რომელსაც გააჩნია, დავუშვათ, რაიმე რეფორმისტული ხედვა, როგორ უნდა მოეწყოს ქვეყანა, როგორ უნდა იქნეს იგი რეფორმირებული. ჩემზე მაგალითად, ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ივანიშვილის შეხვედრამ ეკონომიკურ ექსპერტებთან და ამ შეხვედრის შემდეგ გაკეთებულმა განცხადებებმა. საჩაიეში რომ შეიკრიბებიან მეგობრები და საუბრობენ ზოგადად, დაახლოებით ასეთი კომენტარები გაკეთდა. აბსოლუტურად ზედაპირული, აბსოლუტურად არაფრის მთქმელი. არაკონკრეტული. არც ერთი ციფრი, არც ერთი კონკრეტული ინიციატივა. იგივე მდგომარეობაა ყველა სფეროში. ყველა აღიარებს უკვე, ქართული ოცნების ყველაზე რადიკალური მომხრეებიც კი, რომ სამართლებრივმა რეფორმამ ჩააფლავა, ეკონომიკაზეც ვერავინ მალავს უკმაყოფილებას, მე მგონი, არც კულტურაშია დიდი რენესანსი. როგორც ასეთი, მიმართულებები ქვეყნის მართვისა არის გაჩერებული. დღეს არანაირი რეფორმა ქვეყანაში არ მიმდინარეობს. უბრალოდ, ის დიდი პოზიტივი, რაც იყო საკუთრივ პირველი ოქტომბერი, რომ ქვეყანაში ეს ტერორის ატმოსფერო დასრულდა, ეს, ასე ვთქვათ, უწერია ამ ხელისუფლებას პოზიტივში და ამით ინარჩუნებს მეტ-ნაკლებად საზოგადოების ლოიალობას.

***— ბატონო კახა, მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებიდან მშვიდობიანი წასვლა იყო ივანიშვილის მოსვლის მიზეზი და სხვა არაფერი?***

— მე ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა ეს დავალება და სრულიად აშკარა არის, რომ არ იყვნენ მზად ხელისუფლების სამართავად. ალბათ, გახსოვთ, როგორ მიდიოდა მინისტრების შერჩევა, ორი კვირა მიდიოდა „ჩაიპიწიებზე“ მინისტრების შერჩევა. ზოგადად ასე არ ხდება, რა თქმა უნდა. თქვენ შეგიძლიათ გადახედოთ, ნებისმიერ ქვეყანაში, არჩევნების დამთავრების მეორე დღესვე აკეთებს გამარჯვებული პარტიის ლიდერი განცხადებას, ასახელებს თავის გუნდს და აქვეყნებს სამთავრობო პროგრამას. ეს არ იყო, რა თქმა უნდა, ის გუნდი, რომელიც ქვეყნის მართვისთვის იყო შექმნილი და ქვეყნის მართვას აპირებდა. რომელ სამინისტროს ატყობთ თქვენ, რომ ის აპირებს თავის დარგში რაიმე რეფორმების გატარებას. ერთი ორი გამონაკლისი არის შეიძლება, რომელიც თვითდაჯერებული ხელით მართავს, იგივე შინაგან საქმეთა მინისტრი და ენერგეტიკის მინისტრი, გვყავს ერთი ორი გამონაკლისი, რომელიც თავის სისტემას მაინც ფლობს. დანარჩენი მინისტრები ძალიან დაბნეულ შთაბეჭდილებს ტოვებენ.

***— თქვენ მხოლოდ სააკაშვილის წასვლაზე საუბრობთ და შესაძლოა, რომ მისი გუნდი კვლავ ვიხილოთ ხელისუფლებაში?***

— მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მაღალი ალბათობით მოხდება. პოლიტიკური გუნდი არც შეცვლილა ქვეყანაში. თუ გადავხედავთ ჩვენ, ვინ არის ქართულ ოცნებაში და ვინ – ნაციონალურ მოძრაობაში, რომ გააკეთოთ პატარა მატრიცა და დათვალოთ, 97% ალბათ არიან მოქალაქეთა კავშირის გუნდი ხომ? ეს გუნდი ახლა გინდ იქიდან მოზილე, გინდ – აქედან, გინდ ნაციონალები დააწერე გარედან და გინდ – ქართული ოცნება, ეს ერთი გუნდია. ოფიციალურად ერთი და იგივე ფინანსური მოტივაციებით შეკრული. როგორც უნდა წავიდეს მოვლენები, დღესაც ხელისუფლებასთან ბაქრაძე უფრო ახლოსაა, ვიდრე, მაგალითად, გუბაზ სანიკიძე. გუბაზი ყოველთვის დარჩება როგორც აუტსაიდერი, იმიტომ, რომ მისთვის სისხლი არ გადაუსხამთ. ის ამ სისტემაში შიგნით ვერ შევა. რეალურად ხელისუფლების ინსტრუმენტებთან ახლოს იქნება ის ხალხი, ვინც მოქალაქეთა კავშირიდან მოდიან. როგორც ამბობენ, მაფია უკვდავია.

***— დასავლეთი გიგა ბოკერიასთან აწარმოებს მოლაპარაკებებსო, რამდენად არის ეს ასე?***

— მე მგონი, ეს ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია, რომ კონკრეტულად ბოკერიაზე მთავარი ფსონი იყოს დადებული, თუმცა ის მიეკუთნება იმ გუნდს, ვისაც ამერიკული სპეცსამსახურები ენდობიან. კიდევ არის რამდენიმე ასეთი ფიგურა, ვისთანაც ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების დროს ისურვებდნენ ამ პერსონებს, წამყვან სახელმწიფო პოსტებზე. ეს პრაქტიკულად დაუფარავადაც გაცხადებულია.

***— ბატონო კახა, ყველასთვის ცნობილია, რომ ივანიშვილი მიდის, პროცესების რა განვითარებას ელით მისი წასვლის შემდეგ ქვეყანაში?***

— ვერ გეტყვით, ბევრი რამე ბურუსით არის მოცული. თუმცა ზუსტად ვიცი, რომ ორი წლის შემდეგ ქართული ოცნება ისეთივე სალანძღავი სიტყვა იქნება, როგორც ნაციონალური მოძრაობა. ამაში შემიძლია დაგარწმუნოთ. საბოლოო ჯამში საზოგადოება მსჯელობს შედეგებით და არა კონკრეტული ნაბიჯებით. თუ ქვეყანაში არ იქნა პროგრესი, ხალხი იწყებს მთავრობის გინებას.

***— თქვენი საუბრიდან გამომდინარე კარგს არაფერს უნდა ველოდოთ?***

— შეუძლებელია დადებითი პროცესების მოლოდინი გვქონეს. ნებისმიერი რეფორმა პოლიტიკური სტაბილურობის შემდეგ იწყება, პოლიტიკური სტაბილურობა კი ძალიან მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ გუნდს ეფუძნება. როდესაც ხალხი ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს მოიხსენიებს ათასგვარი საშაყირო ეპითეტებით, ახლა როგორი უნდა იყოს ამ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა? პოლიტიკურ ენაზე ამას ეწოდება ლეგიტიმაციის დეფიციტი.

# მიხეილ სააკაშვილი: „მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ორიენტაცია მძიმე შეცდომაა“



ყვარელში პრეზიდენტის სახლში მეღვინეობის საკითხებზე ტრენინგი მიმდინარეობს, რომელსაც ცნობილი ფრანგი ენოლოგი ჟან მიშელ მონე ატარებს. სემინარზე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან მცირე მეწარმე მეღვინეები არიან მოწვეულნი. ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც ესწრება. პრეზიდენტმა სემინარზე კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ, ამ კუთხით განათლების მიღებაში აქტიურად ჩაებმება.

„ჩვენ აუცილებლად უნდა გავიდეთ მსოფლიო ბაზრებზე და არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული რუსეთზე, რომელმაც მოლდოვას 2 წელიწადში გაუხსნა და დაუხურა ბაზარი. მძიმე შეცდომაა მხოლოდ რუსეთის ბაზარზე ორიენტაცია. ამიტომაც ჩამოვიყვანეთ ფრანგი მეღვინეები. ეხლა ჩამოსულები არიან ფრანგები, მერე ჩამოგვყავს ესპანელები და შემდეგ ამერიკელებს ჩამოვიყვანთ. ყველას ჩამოვიყვანთ წამყვანი ქვეყნებიდან იმისთვის, რომ ჩვენ ვენახებს და ღვინოებს რომელიც გაგვაჩნია, ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიები დავამატოთ“ – განაცახადა მიხეილ სააკაშვილმა.

ნიუსპრესი

# პედაგოგებს ისევ ერთწლიან ხელშეკრულებას უფორმებენ?

მერი ნამორაძე

პედაგოგები კარგა ხანი აპროტესტებდნენ ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას. როგორც პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირში ამბობენ, ეს ერთწლიანი ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №959 ბრძანებას. ახალმა შრომითმა კოდექსმა მოაგვარა პრობლემა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საჯარო სკოლების დირექტორთა გარკვეული ნაწილი, მიუხედავად შრომის კოდექსში შესული ცვლილებებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითებებისა, უხეშად არღვევს პედაგოგთა უფლებებს.

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტი მანანა კობახიძე ირწმუნება, რომ დირექტორები ათავისუფლებენ მასწავლებლებს შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლასთან დაკავშირებით და მასობრივად დაიწყო ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება პედაგოგებთან. მისი თქმით, საჯარო სკოლების დირექტორებმა და მათმა მრჩეველმა იურისტებმა არასწორად გაიგეს ახალი შრომის კოდექსის მოთხოვნები. აპელირებას აკეთებენ შრომის კოდექსის მე-6 მუხლზე, რომლის თანახმად, ,,თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში“. საჯარო სკოლების დირექტორთა ნაწილი პედაგოგებთან ერთწლიან ხელშეკრულებებს აფორმებს ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე და არ ითვალისწინებენ შრომის კოდექსის 53-ე მუხლს, რომლის თანახმად, შრომის კოდექსი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.

შრომის კოდექსის მე-6 მუხლის 1 პუნქტის მიხედვით: ,,შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით“. პროფკავშირში ამბობენ, რომ საჯარო სკოლების დირექტორთა გარკვეული ნაწილი, ვინც ჩააბარა დირექტორთა ტესტირება, ახალი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების პერიოდში ცდილობს, პირადი მოტივებიდან გამომდინარე, სკოლის გარეთ დატოვოს მისთვის არასასურველი პედაგოგები, მათ შორის განსაკუთრებით სამეურვეო საბჭოს წევრი მასწავლებლები, ვისთანაც დაძაბული ურთიერთობები აქვთ. შრომითი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის საფუძველზე პედაგოგის გათავისუფლება კი ეწინააღმდეგება ახალი შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მოითხოვს მასწავლებლებს გაუფორმდეთ უვადო ხელშეკრულებები, რადგან პედაგოგის პროფესია მუდმივია და არ წარმოადგენს კონკრეტული მოცულობისა თუ სეზონურ საქმიანობას. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა აღმოუჩინოს იურიდიული დახმარება საჯარო სკოლების დირექტორებს, ახალი შრომის კოდექსის მოთხოვნების გაცნობისა და დაცვის მიზნით, ვინაიდან ხშირ შემთხვევებში საჯარო სკოლების დირექტორებს არასწორ იურიდიულ კონსულტაციებს უწევენ ხელშეკრულებით აყვანილი იურისტები. განათლების სამინისტრომ უნდა გაარკვიოს მათი კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის საკითხი.

თავად პროფკავშირი მზად არის, აღმოუჩინოს იურიდიული და სხვა სახის დახმარება პედაგოგთა კოლექტივებსა და ინდივიდუალურად ყველა პედაგოგს შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში კანონიერების დაცვის საკითხში. შრომის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პროფკავშირი სასამართლო პროცესების დაწყებას აპირებს კანონიერების აღდგენის მიზნით.

# ზესტაფონში დატრიალებულ ტრაგედიას კალაძეც გამოეხმაურა

შორენა გონგლაძე



ზესტაფონში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული 27 წლის ხატია ძნელაძე გუშინ გარდაიცვალა. შეგახსენებთ, რომ შემთხვევა ,,მერსედესის“ მარკის ავტომობილი ხატია ძნელაძეს საკუთარ სახლთან, გზის გადაკვეთისას დაეჯახა. ავტომობილს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის დაცვის წევრი კახა ჭუმბურიძე მართავდა, რომელიც მოწმის სახით დაიკითხა. მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს. კახა ჭუმბურიძე ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის დაცვის წევრია და, კალაძის განცხადებით, იგი ავტოავარიის დროს ოჯახის კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება კახა კალაძემაც გაავრცელა და მომხდარ ფაქტს სამწუხარო უწოდა.

,,მინდა, გამოვეხმაურო სამწუხარო ფაქტს და, პირველ რიგში, აღვნიშნო, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ჩემი ესკორტი შეეჯახა მოქალაქეს და სვლა განაგრძო, სამწუხარო ტყუილი და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანაა. არც პირადად მე, არც სხვა რომელიმე ჩემი თანმხლები პირი დღეს სამინისტროს შენობიდან, თბილისიდან არ გავსულვართ. ბაქოში ვიზიტის დაწყებისას გავიგე ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ. როგორც შემატყობინეს, ჩემი დაცვის წევრი ოჯახის კუთვნილი მანქანით თავის ახლობლებთან ერთად მოძრაობდა ზესტაფონის მიმართულებით და მოახდინა შეჯახება ახალგაზრდა ქალზე. ცალკე თხოვნა მექნება მედიის წარმომადგენლების მიმართ — ძალიან გთხოვთ, ნუ მისცემთ ამ შემთხვევას პოლიტიკურ დატვირთვას, ავტოავარია თავისთავად ტრაგედიაა მონაწილე მხარეებისთვის და, სამწუხაროდ, ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლება შეემთხვეს. მესმის, პოლიტიკურად ცხელი შემოდგომაა, მაგრამ პატივი ეცით, პირველ რიგში, ქალბატონის ოჯახსა და მედიის ობიექტურობას, — აცხადებს კახა კალაძე.

# ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 15 დღემდე მცირდება

შორენა გონგლაძე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, სხვა საკითხებთან ერთად, ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადის 90 დღიდან 15 დღემდე შემცირებას ითვალისწინებს. ადმინისტრაციული პატიმრობის ექვსჯერ შემცირების თაობაზე ინიციატივა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ ორი დღის წინ იურიდიული კომიტეტის მოსმენაზე წარადგინა. ცვლილებებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა, პარლამენტი უახლოეს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განიხილავს.

ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა 90 დღემდე 2009 წლის ივლისში გაიზარდა იმ საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში, რომელიც მიტინგების წესების გამკაცრებას ითვალისწინებდა. მანამდე ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 30 დღე იყო.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები გულისხმობდა პოლიციის მიერ არალეტალური ტყვიების გამოყენების დაკანონებას; მიტინგებისა და მანიფესტაციების წესების გამკაცრებას და ადმინისტრაციული ჯარიმებისა და პატიმრობის ვადების გაზრდას ითვალისწინებდა.

მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში აისახა დებულება, რომ შეკრების მონაწილეთა მხრიდან ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში სამართალდამცავები უფლებამოსილნი არიან, უზრუნველყონ აქციის შეწყვეტა მას შემდეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოთხოვნას აქციის შეწყვეტის თაობაზე მომიტინგეები არ დაემორჩილებიან.

პოლიციის შესახებ კანონში ცვლილებებში აისახა არალეტალური ჭურვების გამოყენების უფლება. როგორც მაშინ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, ეს შესწორება კანონში სახალხო დამცველის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე იქნა შეტანილი. რაც შეეხება წარწერების, ნახატებისა და სხვადასხვა სიმბოლოების ფასადებზე თვითნებურ გამოსახვას, რომელიც ასევე ღიად დარჩენილი საკითხი იყო ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებში, მასში შესწორებები არ შესულა და კვლავინდებურად ამ ქმედებისთვის პირველ ჯერზე 500 ლარის ოდენობით ჯარიმა, ხოლო ამ ქმედების გამეორების შემთხვევაში 1000 ლარის ჯარიმა ან 30-დღიანი პატიმრობის სანქცია მოქმედებს.

# სარეკლამო აბრები ქართული წარწერის გარეშე აღარ განთავსდება?

მერი ნამორაძე

**საკრებულომ ქართული ენის დაცვა გადაწყვიტა. როგორც იქნა, ადამიანები შეწუხდნენ იმის გამო, რომ საქართველოში სარეკლამო აბრები მხოლოდ უცხო ენაზეა გამოკიდებული და აქტიურ მოქმედებაზეც გადავიდნენ მშობლიური ენის დასაცავად.**

გუშინ საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე კახა კუკავამ და ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძემ რამდენიმე კომპანიას, რომლებსაც სარეკლამო აბრები მხოლოდ უცხო ენაზე აქვთ განთავსებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რეკლამის სახელმწიფო ენაზე გავრცელების შესახებ კანონის დარღვევის თაობაზე გაფრთხილების ტექსტები დაურიგეს. მათი თქმით, ის კომპანიები, რომელთა რეკლამა და აბრებიც მხოლოდ უცხო ენაზეა შესრულებული, კანონს არღვევენ.

გაფრთხილების შემდგომ კომპანიებს ერთი თვის ვადა მიეცათ, რათა ობიექტზე განთავსებული აბრა (წარწერა) და რეკლამა მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოიყვანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მიმართ მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური კანონით დადგენილ ზომებს გაატარებს.

# ანდრო ბარნოვი თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ გამოდის

შორენა გონგლაძე



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი თავდაცვის სამინისტროს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ბარნოვი ვიცე-პოლკოვნიკ ალეკო ტუღუშთან გუშინ კიდევ ერთხელ იმყოფებოდა.

ანდრო ბარნოვის თქმით, ტუღუშის ბინით უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას ხელი დიმიტრი შაშკინმა მოაწერა, თუმცა, მისი ინფორმაციით, ალეკო ტუღუშისთვის ბინა ამ დრომდე არ მიუციათ.

მისივე განცხადებით, შეჩერებულია იმ კორპუსების მშენებლობა, რომელიც დაზარალებული სამხედროებისთვის იყო განკუთვნილი. ბარნოვი განმარტავს, რომ ვიცე-პოლკოვნიკი დროებით არის დასაქმებული ატაშეს თანაშემწედ და ხელფასიც დაბალი აქვს.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ ტუღუშთან საქართველოს პრეზიდენტი იმყოფებოდა და წმინდა გიორგის ღირსების ორდენი გადასცა. როგორც სააკაშვილმა განაცხადა, ,,ჩვენი ეროვნული სირცხვილია, რომ ომების გმირი ალეკო ტუღუში მუხათგვერდის სასაფლაოს გვერდით ,,გარაჟში“ ცხოვრობდეს“. სააკაშვილმა თავდაცვის სამინისტროს სამხედროების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენისკენ მოუწოდა. თავდაცვის სამინისტრომ კი სააკაშვილის პასუხად ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ ვიცე-პოლკოვნიკ ალექსანდრე ტუღუშს ამ დროისთვის აშშ-ში თავდაცვის ატაშეს თანაშემწის თანამდებობა უკავია და ამ პოსტზე მისი ხელფასი საკმაოდ სოლიდურ თანხას წარმოადგენს. ანაზღაურების ზუსტ ოდენობას, კონფიდენციალობიდან გამომდინარე, თავდაცვის უწყება არ აკონკრეტებს. თავდაცვის სამინისტრო ასევე აცხადებდა, რომ ალექსანდრე ტუღუშის ბინით დაკმაყოფილების გადაწყვეტილება სამინისტროს შესაბამისმა კომისიამ ერთი კვირის წინ უკვე მიიღო.

# მამუკა გიორგაძე: „საქართველო აგენტებით არის სავსე“

## რატომ არ იღებს ხმას საპარლამენტო უმრავლესობა

შორენა კოწოწაშვილი

**რას მალავს ხელისუფლება არჩევნების წინ, არის თუ არა საქართველოს ხელისუფლება „წაკუზულ“ მდგომარეობაში და რატომ დუმს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა რუსეთის ქმედებებზე? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან.**

***— ბატონო მამუკა, რა ვითარება შეიქმნა საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მართლაც პოლიტიკური კრიზისია, როგორც გარკვეული პოლიტიკოსები აფასებენ? რამდენად არის ამის გარკვეული მიზეზი პრემიერის განცხადება ვადაზე ადრე თანამდებობიდან წასვლის თაობაზე? გაზაფხულზე მართლაც ქაოსს უნდა ველოდეთ?***

— სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ველირსეთ ჯანსაღ საზოგადოებრივ მდგრად ცხოვრებას. ძირითადად აქცენტები კეთდება მიმდინარე ერთჯერად საკითხებზე და არა სახელმწიფოებრივ ან ფუნდამენტალურ ღირებულებებზე, იმ საფუძვლებზე, რომელზეც უნდა დაეფუძნოს ქართული სახელმწიფო. სწორედ ამიტომაც არის, რომ მუდმივ ქაოსში ვიმყოფებით. ქაოსის სხვადასხვა ფაზა არსებობს. არის ცხელი ფაზა, მშვიდი ფაზა, კრიზისული ფაზა და განმუხტული ფაზა. ეს ფაზებია, თორემ ჩვენ მთლიანად ქაოსში ვართ, იმიტომ, რომ მდგრადი სისტემა ვერ მიიღეთ. როდესაც ერთი პიროვნების სადღაც გადასვლა ქვეყანაში ასეთ აჟიოტაჟს ქმნის, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრივად სწორი ნაბიჯები არ იდგმევა. ის, რომ ერთი პიროვნების გარშემო იქმნება ხელისუფლება, ეს უკვე თავისთავად არასტაბილურობის განცდაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბუნებრივად რომ მოუვიდეს ამ ადამიანს რამე, მაშინ, რას ვშვრებით?! 25 წელია, ამ პროცესებში ვართ. არის ბელადი, არის ადამიანი, რომელზეც იგება მთელი სახელმწიფო ვერტიკალი. იმ ადამიანის მდგომარეობის შექმნა მთლიანად ცვლის ქვეყანაში სიტუაციას. ამიტომ ამაზე უნდა დავფიქრდეთ. აქ საუბარი არაა იმაზე, კარგი ადამიანია თუ არა; დიდი დიაპაზონის ადამიანია თუ არა. თუ ეს სახელმწიფოა, მაშინ უნდა არსებობდეს სტაბილური პოლიტიკური ელიტა, რომელიც პასუხისმგებლობით უდგება სახელმწიფო საქმეს და იღებს გადაწყვეტილებებს. ამ ელიტის გარკვეული ნაწილი ხელისუფლებაშია, გარკვეული — ოპოზიციაში; და არის მეორე — ბელადზე აგებული სისტემა, რომელიც არამდგრადია, რომელიც იმისდა მიხედვით იცვლება, რა განწყობაზე გაიღვიძა დილას ბელადმა. ბელადი და სახელმწიფო უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან და, თუ სახელმწიფო გვინდა, მაშინ ის სისტემაზე უნდა დავაფუძნოთ და არა პიროვნებებზე. დიდი ხანია ბჟეზინსკი საერთოდ პოლიტიკურ თანამდებობაზე აღარ არის, მაგრამ მის აზრს ანგარიშს უწევენ. დამისახელეთ ჩვენთან ერთი ადამიანი, რომელიც არ არის პირველ პირთან ყურში ჩაჩურჩულების სიშორეზე და მისი აზრი საინტერესო იყოს საზოგადოებისათვის. აი, ეს უნდა დავაფუძნოთ. ვინც უნდა იყოს გონიერი მმართველი, მან უნდა დააფუძნოს ასეთი სისტემა და არა იძახოს, რომ წინაზე უკეთესია და რომ ერთადერთი მისით დაიწყო საქართველოში ისტორია და ა.შ. სწორედ ამიტომაც, რადგან საქართველოში ასეთი ვითარებაა, მუდმივი ქაოსია და ამ ქაოსში მიმდინარე პოლიტიკურ პრობლემებში ჩართული ვართ თითოეულ ჩვენგანი, ამაში იხარჯება ენერგია, შესაძლებლობები, დრო, სახსრები და, საბოლოო ჯამში, გადის წლები და მერე ვამჩნევთ, რომ პრაქტიკულად ჩვენს ცხოვრებაში სიკეთისკენ ნაბიჯები არ გადადგმულა. აი, ეს არის პრობლემა. ამიტომ ყველას მოვუწოდებ, ვისაც ოდნავ მაინც გააჩნია სახელმწიფოებრივი ნებელობა, ხედვა, აზროვნება, პიროვნულ ღირებულებათა სისტემა, რომ დავფიქრდეთ ამაზე. დადგა დრო, რომ შევქმნათ სახელმწიფო სისტემა და თითოეულმა ადამიანმა ამ სისტემაში სახელმწიფოს ამოცანის შესაბამისად მოძებნოს თავისი ადგილი და არა ისე, რომ არსებობს პიროვნება და სახელმწიფო მერე ამ პიროვნებაზე ეწყობა.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# მამუკა გიორგაძე: „საქართველო აგენტებით არის სავსე“

დასაწყისი მე-7 გვერდზე

***– რა არის პოლიტიკური კრიზისის გაღრმავების მიზეზი, ის, რაც ზემოთ მიუთითეთ თუ პრემიერის გადაწყვეტილება სააკაშვილის პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ, ისიც მალე გაჰყვეს უკან. საერთოდ, რით ხსნით ამ ნაბიჯს და რეალობასთან ახლოსაა ის პოზიცია, რაზეც დღეს არაერთი პოლიტიკოსისგან ისმის: ივანიშვილმა შეასრულა მის ხელისუფლებაში მომყვანთა ძირითადი დავალება და ამიტომ მიდის.***

– აქ ჩვენ კვლავ ისევ პირველ თემას ვუბრუნდებით იმიტომ, რომ ჩვენ არა ვართ ჩამოყალიბებული სახელმწიფო ამოცანების გადაჭრასთან დაკავშირებით. მოსახლეობა არა ვართ შეთანხმებული, რა ამოცანა დგას ჩვენ წინაშე. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ყველასთვის სუბიექტური განზომილების დიაპაზონი იშლება და ვისაც როგორ უნდა, იმისდა მიხედვით იღებს გადაწყვეტილებას. კრიზისის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ სახელმწიფო არა ვართ. სახელმწიფო ინსტიტუტები არ მუშაობენ. ჩვენ სისტემა უნდა შევქმნათ და სისტემის შიგნით შეიძლება იოლი გზებით მოვძებნოთ კრიზისიდან გამოსავალი. ჩვენ მივდივართ სხვა მიმართულებით. უნდა ვიმსჯელოთ: სახელმწიფო ჩვენ არ გვაქვს, სისტემა ჩვენ არ გვაქვს, ეს ყველაფერი აგებულია ერთ ადამიანზე და მისი წასვლა რას გამოიწვევს. შეიძლება, ამ ერთი ადამიანის წასვლამ გამოიწვიოს წყობის შეცვლა, კონსტიტუციური წესრიგის მოშლა. შეიძლება, პირიქით, უკეთესიც აღმოჩნდეს. ამიტომ ეს არის მთავარი პრობლემა.

***– პოლიტიკოსთა ნაწილი აცხადებს, რომ ივანიშვილმა წასვლის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლება მასზე უფრო პრორუს პოლიტიკოს ნინო ბურჯანაძეს გადაულოცოს?***

– როგორი რაღაც არის, რადგან სახელმწიფოში სისტემა არ არის შექმნილი და, რადგანაც პიროვნებებზეა აგებული ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, გამომდინარე აქედან, პრაქტიკულად, გარე ძალებს აქვთ ძალიან ბევრი საშუალება ასეთ ამღვრეულ წყალში, როგორც უნდა, ისე წარმართონ საქართველოს საზოგადოებრიობა. ამ წარმართვის ბერკეტები ყველაზე მეტად რუსეთს გააჩნია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გამომდინარე იქედან, რომ ის ძველი 50 000 კგბ-ს აგენტი, დღეს ხომ ისევ საქართველოშია. კარგი, ზოგი დაბერდა, ზოგი – გარდაიცვალა, მაგრამ ძირითადი მასა ხომ ისევ საქართველოშია. მე არ მინახავს, რომ ვინმეს ეღიარებინოს, აგენტი ვიყავი და დამოუკიდებელ საქართველოში თავს ვანებებო, ანდა, პრაქტიკულად, ის ელიტა, რომელიც მაშინ იყო წარმოდგენილი მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დღესაც აქტიურია და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, რომ თავი დაენებებინოს საზოგადოებრივი აქტიურობისათვის. ფინანსური მომენტები, სხვა ათასი ბერკეტები. ე.ი. შიდა საკითხებში ბერკეტები გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს. დასავლეთს გააჩნია სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტები. დასავლეთს არ აქვს ქვეყნის შიგნით მუშაობის ბერკეტები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ 300-წლოვანი რუსული სივრცეა. სულ რაღაც 20 წლის წინ საქართველოში, ელემენტარულად, არ არსებობდა დასავლეთის ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა დისიდენტს, რომლებიც მიისწრაფვოდნენ საქართველოს დასავლეთის ინტეგრაციის გზაზე. ამიტომ დასავლეთს გააჩნია სახელმწიფოზე ზემოქმედების ბერკეტები, რუსეთს გააჩნია შიდა მუშაობის მანიპულირების ბერკეტები. აქედან გამომდინარე, ამ პროცესებში დიდია რუსული გავლენა. ბუნებრივია ისიც, რომ მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ხდება მანიპულირება საზოგადოებრივი აზრით, რომ როგორმე ის განწყობა, რაც ეროვნული მოძრაობის დროს იყო დასავლეთისკენ მიმართული, შეცვლილიყო რუსეთის მიმართულებით. ამას წლები სჭირდება. ეს არ არის ერთი და ორი დღის საქმე. შეცვალო მოსახლეობის განწყობა – ამას ძალიან დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა. მთელი ეს განვლილი პერიოდი, ეს პროცესები სწორედ ამას ემსახურებოდა. დღეს რაღაც გარკვეულ ეტაპამდე მივედით, როდესაც ყოველივე, რაც საქართველოში ხორციელდება, უნდა გაფორმდეს სამართლებრივად.




***– რუსული პოლიტიკის ინტერესების კვალი დიდია 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე?***

– მთლიანად, საქართველოს ცხოვრებაზეა ძალიან დიდი. იყო ფაზა, დავუშვათ, ისტერიული დაპირისპირებისა და ეს ფაზა რუსეთმა ძალიან კარგად გამოიყენა სააკაშვილის მეშვეობით. რაც წასაღები იყო საქართველოდან, პრაქტიკულად, წაიღო. ახლა დადგა ფაზა წაღებულის სამართლებრივად გადაფორმების. სამართლებრივად გადაფორმება კი ვერ მოხდება ისტერიკული დაპირისპირებისა და ისტერიკული წინააღმდეგობის ფონზე. ეს უნდა მოხდეს ვითომ კონსენსუსით, ვითომ მშვიდ გარემოში. აფხაზეთი კი მიითვისა რუსეთმა, მაგრამ სანამ საქართველოს ხელისუფლება ხელს არ მოაწერს მის აღიარებას, მანამდე აფხაზეთი ჩვენია. ჯერჯერობით აფხაზეთი და ცხინვალი ჩვენია. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს, როგორც საქართველოს შემადგენელ ნაწილს. ახლა დადგა დრო, რომ რუსეთმა გადაიფორმოს. როგორ უნდა გადაიფორმოს – საქართველოს ხელისუფლების თანხმობით. ახლა მიდის ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი, რომ ქართველ ხალხს დაავიწყებინონ აფხაზეთი და ცხინვალი; რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლის პროცესში ჩვენ არ გვახსოვდეს სახელმწიფო; რომ ნაბან წყალს, ბავშვიც გადავაყოლოთ. პრაქტიკულად, „სახალხო პარტიის“ მიერ წამოყენებული საპრეზიდენტო კანდიდატის გარდა, არცერთი არ ახსენებს აფხაზეთის და ცხინვალის თემას. ვსაუბრობთ გაზე, ატამზე, ყურძენზე, ზოგად მშვიდობაზე, რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე. არც ერთი არ ახსენებს, რომ აფხაზეთის აღიარება არ შეიძლება; რომ ცხინვალის რეგიონში დღეს არსებობს ვინმე სანაკოევის პრეზიდენტობის სტრუქტურა – დროებითი სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაცია, რომელიც შექმნა სააკაშვილმა და დაფინანსება გაუზარდა ივანიშვილმა; რომ არ შეიძლება, ეს დროებითი ადმინისტრაცია არსებობდეს საქართველოში; არავინ საუბრობს რუსეთის სურვილზე იმასთან დაკავშირებით, რომ კონფედერაცია განხორციელდეს და საქართველომ აღიაროს აფხაზეთი და შემდეგ დამოუკიდებელმა აფხაზეთმა და დამოუკიდებელმა საქართველომ გააფორმონ ერთმანეთთან ხელშეკრულება. ეს იქნება სამართლებრივად იოლად დაშლადი სახელმწიფო, რომლის გარანტი იქნება რუსეთი და ეს იქნება სწორედ ის, რისკენაც მიისწრაფვის რუსეთი. რაც პუტინმა განაცხადა, ერთი მხრივ, ის უკან არ წაიღებს აფხაზეთის აღიარებას, პირიქით, საქართველოს ხელისუფლებამ აღიაროს აფხაზეთი და პუტინი გამოვა ამ მდგომარეობიდან და, მეორე მხრივ, აფხაზეთიცა და საქართველოც იქნება რუსეთის მფარველობის ქვეშ შესული ევრაზიულ გაერთიანებაში. დღეს ეს სქემა თამაშდება. ამ თემის გარშემო უნდა იყოს მთელი ყურადღება გამახვილებული. დღეს კი ჩვენ ვსაუბრობთ იმასთან დაკავშირებით, პეტრე რომ წავა, პავლე როგორ მოიქცევაო; კოალიცია როგორ დაიშლება, ნაცმოძრაობა რას იზამს და ა.შ. მთელი ეს პროცესი იქითკენ არის მიმართული, რომ ქართველი საზოგადოების ზურგს უკან ან ქართველი საზოგადოების ხელოვნური „დაჩმორების“ ფონზე ეს გადაფორმება მოხდეს. სწორედ ამას ემსახურება ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრის მოქმედებები იმასთან დაკავშირებით, რომ, მიუხედავად იმისა, ათასჯერ შეურაცხყოფა მიაყენეს, თუ პიროვნული შეურაცხყოფაა, ოდნავ მაინც თავმოყვარე ხელისუფლებას, რაც დიცთან ხდება დღეს, პროტესტი უნდა გამოეთქვა. ამას კი პროტესტიც კი არ გამოუთქვამს. კარასინი-აბაშიძის ყოველი შეხვედრის წინ ყოველთვის ხდება დიცთან დაკავშირებით პრობლემის შექმნა, როგორც უთავმოყვარეო სახელმწიფო, უთავმოყვარეო ადამიანები ჩვენ მაინც მივდივართ კარასინთან შეხვედრაზე. ეს ხომ პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, შეურაცხყოფას გვაყენებენ და ჩვენ მაინც, ბოდიში ამ გამოთქმისთვის, „წაკუზულ“ მდგომარეობაში ვეახლებით მას. არ შეიძლება, ასე გაგრძელდეს, სახელმწიფოებრივად გაგრძელდეს.

***– იმაზე მიანიშნებთ საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც მართვის სადავეებს ფლობს, რომ პოლიტიკური ელიტა უუნაროა?***

– რა თქმა უნდა, უუნაროა. საქართველოში პოლიტიკური ელიტა არ არსებობს. არსებობს ერთი პიროვნება, ლიდერი და მისი ხელზე მოსამსახურე გოგო-ბიჭები. ელიტა არის პრინციპებზე ჩამოყალიბებული საკუთარი ხედვების, ღირსების, პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა ერთობა. ჩვენ ელიტაში გვთავაზობენ ადამიანებს, რომლებიც ხელზე მოსამსახურე გოგო-ბიჭები არიან. იტყვის ბიძინა ივანიშვილი, ვრჩები, გამოვა ყველა და იტყვის, რა ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო პრემიერმა. იტყვის ივანიშვილი, მივდივარ, იგივე ხალხი ამბობს, ამაზე ჭკვიანური და პროგრესული არაფერი გაგვიგია. ეს არ არის ელიტა, მთელი უბედურება ესაა. ამ მდგომარეობამდე დაგვიყვანეს საქართველო. სახელმწიფო, რომელიც იქით აკეთებდა პიროვნებათა და ლიდერთა ექსპორტს მთელ მსოფლიოში, დღეს მათ გარეშე დარჩა. ხელისუფლებაში არ არიან წარმოდგენილი პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ ჩამოყალიბებული მრწამსი. კი, ინდივიდები არიან, საინტერესო ინდივიდები. ზოგს პატივს ვცემთ, ზოგს ვერ ვიტანთ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# პირველი ნახევარფინალისტები ცნობილია: საფრანგეთი–ესპანეთი

ევროპირველობაზე ორი მეოთხედფინალური შეხვედრა გაიმართა. პირველ მატჩში ესპანეთი სერბეთს შეხვდა და 30 ქულის სხვაობით, 90:60 გაანადგურა მეტოქე. ესპანელებმა საქმე პირველივე მეოთხედში მოილიეს, როდესაც მეტოქეს 21:5 მოუგეს. ამის შემდეგ, მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდნენ და მათი გამარჯვება ეჭვქვეშ ერთხელაც არ დამდგარა.

სერბებს განსაკუთრებით დიდი პრობლემები სერხიო როდრიგესმა და რუდი ფერნანდესმა შეუქმნეს. პირველმა 22 ქულა, მეორემ კი 19 ქულა შესძინა ესპანეთს. სერბებიდან 11-11 ქულა ჩააგდეს დანილო ანდუსიჩმა და რასკო კატიჩმა.

### სერბეთი – ესპანეთი 60:90
(5:21, 18:27, 16:25, 21:17)

**სერბეთი**: ნედოვიჩი (6ქ), ნემანია კრსტიჩი (3ქ), მიჩიჩი (8ქ), ბოგდანოვიჩი (2ქ), ბიელიცა (2ქ), კალინიჩი (2ქ), გაგიჩი (7ქ), ნენად კრსტიჩი (4ქ), ანდუსიჩი (11ქ), კატიჩი (11ქ), სტიმაჩი (4ქ)

**ესპანეთი**: აგილარი (8ქ), ფერნანდესი (19ქ), როდრიგესი (22ქ), რეი, კალდერონი (3ქ), რუბიო (5ქ,6მ,6პ), კლავერი (9ქ), სან ემეტერიო (6ქ), ლული (5ქ), გასოლი (7ქ,6პ), გაბრიელი (4ქ), მუმბრუ (2ქ)

განსხვავებით ამ დაპირისპირებისგან, დაძაბულობა არ აკლდა მეორე მეოთხედფინალურ მატჩს სლოვენიასა და საფრანგეთს შორის. შეხვედრის დასაწყისში გუნდები შეტევაში ბევრს სცოდავდნენ, შესაბამისად, პირველ ტაიმში ძალიან ცოტა ქულა ჩავარდა. შესვენებაზე ფრანგები 2-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ 26:24.

მეორე ტაიმში ორივე გუნდმა გამოასწორა სროლების პროცენტი, თუმცა ტონი პარკერის წყალობით საფრანგეთი დაწინაურდა და ტურნირის მასპინძლები მდევრის როლში აღმოჩნდნენ. დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა ვერც მათი ლიდერი გორან დრაგიჩი, რომელმაც შეხვედრის ბოლოს კი სცადა გაბრძოლება და სხვაობა 4 ქულამდეც შეამცირა, თუმცა საკუთარი გუნდის ხსნა მაინც ვერ შეძლო.

ტონი პარკერმა 27 ქულა მიითვალა. 14 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა ნიკოლა ბატუმმა. 10 ქულა და 6 მოხსნა იყო ბორის დიაოს ანგარიშზე. 18 ქულა და 6 პასი შესძინა სლოვენიას გორან დრაგიჩმა.

### სლოვენია – საფრანგეთი 62:72
(12:10, 12:16, 21:24, 17:22)

**სლოვენია**: ბალაჟიჩი (2ქ), იოკსიმოვიჩი (2ქ), მურიჩი, ბლაჟიჩი (8ქ), ნახბარი (10ქ), გ.დრაგიჩი (18ქ,6პ), ზ.დრაგიჩი (12ქ), ლორბეკი (8ქ), ვიდმარი (2ქ,8მ), ბეგიჩი

**საფრანგეთი**: ბატუმი (14ქ), პეტრო (4ქ,7მ), პარკერი (27ქ), პიეტრუსი, დე კოლო (4ქ), დიაო (10ქ), აჯინკა (6ქ,9მ) ჟელაბალე (7ქ)

მაშასე, სლოვენია მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა და 5-8 ადგილებისთვის განაგრძობს ასპარეზობას. ესპანეთი და საფრანგეთი კი ერთმანეთს ნახევარფინალში დაუპირისპირდებიან.

# სანიკიძეს სარაგოსაში ეპატიჟებიან




ევროპული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე კარიერას ესპანეთის პრიმერა დივიზიონის მონაწილე „სარაგოსაში“ გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ 2012-13 წლების სეზონში, სანიკიძე იტალიის მრავალგზის ჩემპიონ სიენის „მონტეპასკიში“ თამაშობდა. მართალია, სანიკიძეს იტალიურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებდა, მაგრამ ორმხრივ საფუძველზე შეთანხმება შეწყდა. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენებურს ბოლო დროს მოედანზე ცოტა დრო ეთმობოდა.

როგორც ევროპული მედია წერს, თუ სანიკიძის ვარიანტი არ გამოვიდა, მაშინ „სარაგოსა“ სერბი დრაგიჩევიჩის გადაბირებას შეეცდება.

„სარაგოსასთან“ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, ეს მისი მე-6 უცხოური (მე-2 ესპანური) კლუბი იქნება – სანიკიძეს მანამდე „დიჟონის“ (საფრანგეთი), „ესტუდიანტესის“ (ესპანეთი), „როკის“ (ესტონეთი), „ვირტუსისა“ (იტალია) და „მონტეპასკის“ (იტალია) შემადგენლობაში უთამაშია.

გარდა ამისა, „სარაგოსაში“ გადასვლის შემთხვევაში სანიკიძის იქ ნაკრების კიდევ ერთი წევრი, გიორგი შერმადინი დახვდება, რომელმაც ახლახან მოაწერა ხელი ესპანურ კლუბთან და უკვე ამხანაგური მატჩის გამართვაც მოასწრო. სარაგოსელებმა 89:83 მოუგეს „ტარბს“ და ჩვენებურმა თავის გუნდს 21 ქულა შესძინა.

# საქართველო ერთი ბრინჯაოსა და გუნდური მესამე ადგილის ამარა

მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელსაც უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი მასპინძლობდა, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნულმა ნაკრებმა 1 ბრინჯაოს მედალი და გუნდური მე-3 ადგილი მოიპოვა.

ბრინჯაოს მედლის მფლობელი 120 კგ წონით კატეგორიაში 19 წლის გენო პეტრიაშვილი გახდა, მე-3 საპრიზო ადგილისათვის კი ეროვნული გუნდის კიდევ სამმა წევრმა (ლევან ქელეხსაშვილი 66, იაკობ მაქარაშვილი 74, დავით ქერაშვილი 96) იჭიდავა და სამივემ მე-5 ადგილი დაიკავა, რამაც საქართველოს ნაკრებს ჯამში გუნდური მე-3 ადგილი მოუტანა. გუნდური პირველობის გამარჯვებული ირანის გუნდი გახდა, მე-2 ადგილზე კი რუსეთის გავიდა,

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირის ბოლო დღეს, 18 სექტემბერს, ხალიჩა 74 კილოგრამში მოჭიდავეებს დაეთმოთ. საქართველოს ღირსება ნაკრების დებიუტანტმა იაკობ მაქარაშვილმა დაიცვა, რომელსაც კვარცხლბეკამდე ერთადერთი გამარჯვება დააკლდა. ძირითად ბადეში მაქარაშვილმა კანადელ ევან ჯეიმს მაკდონალდს 8:5 სძლია და მეთექვსმეტედფინალში გავიდა, სადაც ირანელ ეზატოლაჰ აბას აკბარიზარინკოლაეისთან – 0:7 დამარცხდა.

ირანელმა მომდევნო სამი შეხვედრაც მოიგო, ფინალში გავიდა და იაკობ მაქარაშვილს დამამშვიდებელი ეტაპზე გაიყვანა. ქართველმა მოჭიდავემ რეპეშაჟში მოლდოველ ალექსანდრუ ბურკას (8:0), კუბელ იუნიერკი ბლანკო მორასა (3:2) და იაპონელ სოსუკე ტაკატანის (6:4) აჯობა. „ბრინჯაოს ფინალში“ კი უზბეკეთის ნაკრების წევრ რაშიდ ყურბანოვთან (4:11) დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

## შედეგები

### ფეხბურთი
**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| შალკე-სტიაუა | 3:0 |
| მარსელი-არსენალი | 1:2 |
| ჩელსი-ბაზელი | 1:2 |
| აუსტრია-პორტუ | 0:1 |
| ნაპოლი-დორტმუნდი | 2:1 |
| ატლეტიკო-ზენიტი | 3:1 |
| ბარსელონა-აიაქსი | 4:0 |
| მილანი-სელტიკი | 2:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ვასკუ-ვიტორია | 1:2 |
| გრემიო-სანტოსი | 1:1 |
| კრისიუმა-ფლუმინენსე | 1:2 |
| კურიტიბა-გოიასი | 2:2 |
| პონტე პრეტა-კორინთიანსი | 2:0 |
| სან პაულუ-ატლეტიკო(მ) | 1:0 |
| კრუზეირო-ბოტაფოგო | 3:0 |

### კალათბურთი
**ევროპის ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ესპანეთი | 60:90 |
| სლოვენია-საფრანგეთი | 62:72 |

# ჩელსიმ წაიფორხილა




**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე დღეც სენსაციური გამოდგა. ამჯერად ლონდონის „ჩელსიმ“ დააყენა პროგნოზები თავდაყირა, რომელმაც მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ 3 ქულა „ბაზელს“ გაატანა.**

## E ჯგუფი

### შალკე – სტიაუა 3:0
1:0 უჩიდა (67), 2:0 ბოატენგი (78), 3:0 დრაქსლერი (85)

**შალკე**: ჰილდებრანდი, უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, აოგო, ჰიოგერი (გორეტზკა 88), ნოიშტადტერი, ფარფანი (კლემენსი 89), ბოატენგი, დრაქსლერი, სზალაი (ფუხსი 82)

**სტიაუა**: ტატარუშანუ, გეორგიევსკი, სზუკალა, გარდოში, ლატოვლევიცი, პინტილი, ბურჩეანუ, პოპა, სტანჩუ (ტატუ 60, კსიტეა 73), ტანასე, კაპეტანოსი (პიოვაჩარი 64)

გერმანელებმა 67-ე წუთზე გატეხეს რუმინელთა წინააღმდეგობა და ეს უჩიდას კურიოზული გოლით მოახერხეს – მის ჩაწოდებულ ბურთს არავინ შეეხო და კარში ჩაეშვა. შემდეგ კი, ბოატენგისა და დრაქსლერის ჯერი დადგა და „შალკემ“ ჩემპიონთა ლიგა გამარჯვებით დაიწყო.

### ჩელსი – ბაზელი 1:2
1:0 ოსკარი (45), 1:1 სალაჰი (71), 1:2 სტრელერი (81)

**ჩელსი**: ჩეხი, ივანოვიჩი, კეჰილი, ლუისი, კოული, ვან გინკელი (მიკელი 76), ლემპარდი (ბა 76), ვილიანი (მატა 67), ოსკარი, აზარი, ეტოო

**ბაზელი**: სომერი, ვოსერი, შარი, ივანოვი, საფარი, სალაჰი (ქსაკა 88), დიასი, ფრაი, სტოკერი (აიეტი 81), სიო (ემილიო 64), სტრელერი

„ჩელსიმ“ პირველი ტაიმი ოსკარის გოლით მოიგო და ბევრს ეგონა, რომ მეორეში საქმე გაუიოლდება. ასე არ ფიქრობდნენ შვეიცარიელები.

71-ე წუთზე „ბაზელმა“ კარგი კომბინაცია გაითამაშა და სალაჰმა ზუსტად დაარტყა. 10 წუთში კი შვეიცარიელთა კუთხურს სტელერის 3-ქულიანი თავური მოჰყვა.

## F ჯგუფი

### მარსელი – არსენალი 1:2
0:1 უოლკოტი (65), 0:2 რამზი (83), 1:2 ჯ.აიუ (90პ)

**მარსელი**: მანდანდა, ფანი, ნკულუ, მენდესი, მორელი, რომაო, იმბულა ვანგა (ტოვინი 80), პაიე (ჯ.აიუ 73), ვალბუენა (კალიფა 90), ა.აიუ, ჟინიაკი

**არსენალი**: სშესნი, სანია, კოსელნი, მერტეზაკერი, გიბსი, ფლამინი (მიაიჩი 90), რამზი, უოლკოტი (მონრეალი 78), უილშერი, იოზილი, ჟირუ

3 ქულით დაიწყო ტურნირი „არსენალმა“, რომელმაც „მარსელი“ სტუმრად დაამარცხა. ლონდონელთა მხრიდან გოლები უოლკოტმა და რემზიმ გაიტანეს. ამ უკანასკნელმა, მიმდინარე სეზონში, თავი უკვე მეექვსედ გამოიჩინა. აქამდე, მისი რეკორდი სეზონში 4 გოლი იყო.

ერთადერთი გოლი მასპინძლებმა ბოლო წუთზე პენალტით გაიტანეს.

### ნაპოლი – დორტმუნდი 2:1
1:0 იგუაინი (29), 2:0 ინსინიე (67), 2:1 ზუნიგა (87სკ)

**ნაპოლი**: რეინა, მაჯო, ალბიოლი, ბრიტოსი, ზუნიგა, ბეჰრამი, ინლერი, კალიეხონი, ჰამშიკი (მესტო 90), ინსინიე (მერტენსი 73), იგუაინი (პანდევი 78)

**დორტმუნდი**: ვაიდენფელერი, გროსკროიტცი, სუბოტიჩი, ჰუმელსი (ობამეიანგი 45), შმელცერი, შაჰინი, ბენდერი, კუბა (ლანგერაკი 45), მხითარიანი (ჰოფმანი 76), როისი, ლევანდოვსკი

**გაძევება:** კლოპი (30), ვაიდენფელერი (45)

29-ე წუთზე იგუაინმა ზუნიგას ჩაწოდებას თავი ზუსტად დაუხვედრა და ანგარიში გახსნა. ამას სათადარიგოთა სკამიდან იურგენ კლოპის გაძევება მოჰყვა – დორტმუნდელთა მწვრთნელმა ემოციები ზედმეტად აქტიურად გამოხატა. ტაიმის ბოლოს, სტუმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან მოედნიდან ბოლო იმედის ჯარიმის გამო მეკარე ვაიდენფელერი გააძევეს. ტრავმის გამო შესაცვლელი შეიქნა მათს ჰუმელსი და დორტმუნდელთა შანსები თითქმის ნულის ტოლი გახდა. გარდა ამისა, მასპინძლები ბრწყინვალედ თამაშობდნენ და შარშანდელი ფინალისტი ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა.

67-ე წუთზე ინსინიემ საჯარიმო დარტყმა ზუსტად შეასრულა და იტალიელები წინ სოლიდური უპირატესობით გაიყვანა. ერთადერთი, რაც „დორტმუნდმა“ შეძლო, პრესტიჟის გოლი იყო – ძირითადი დროის ამოწურვამდე 3 წუთით ადრე ზუნიგამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

## G ჯგუფი

### აუსტრია – პორტუ 0:1
0:1 გონსალესი (55)

**აუსტრია**: ლინდნერი, კოხი, როგული, ორტლეხნერი, სუტნერი, ჰოლანდი (ოკოტიე 84), როიერი, სტანკოვიჩი, მადერი, იუნი (სიმკოვიჩი 68), ჰოსინერი (კიენასტი 84)

**პორტუ**: ჰელტონი, ალექს სანდრო, მანგალა, ოტამენდი, დანილო, ჟოსუე, გონსალესი (კინტერო 87), ფერნანდო, ლიკა (იზმაილოვი 67), მარტინესი, ვარელა (ერერა 79)

პორტუგალიელები ამ მატჩის ფავორიტებად მიიჩნეოდნენ და ეს თამაშითაც დაამტკიცეს. ჰელტონი ერთადერთხელ ანერვიულდა, როდესაც მასპინძლებმა მისი კარის ძელს გაარტყეს ბურთი. ამ დროს „პორტუ“ ლუჩო გონსალესის გოლით იგებდა და ასე მიიყვანა საქმე ბოლომდე.

### ატლეტიკო – ზენიტი 3:1
1:0 მირანდა (40), 1:1 ჰალკი (58), 2:1 თურანი (64), 3:1 ლეო (80)

**ატლეტიკო**: კურტუა, ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე, კოკე (როდრიგესი 89), სუარესი, გაბი, თურანი (გარსია 86), ადრიანი (ბაპტისტაო 79), ვილია

**ზენიტი**: ლოდიგინი, სმოლნიკოვი, ლომბერტსი, ჰუბოჩანი, ანსალდი, ნეტო ნოვო (შატოვი 46), ზირიანოვი (არშავინი 74), ვიტსელი, ჰალკი (ბისტროვი 85), კერჟაკოვი, დანი

ამ მატჩში 4-დან 3 გოლი სამხრეთამერიკელთა ანგარიშზეა. თავდაპირველად მირანდამ და ჰალკმა გაცვალეს გოლები, შემდეგ მასპინძლები თურანმა დააწინაურა, ბოლო გოლი კი ბაპტისტაოს ანგარიშზეა.

## H ჯგუფი

### მილანი – სელტიკი 2:0
1:0 იზაგირე (82სკ), 2:0 მუნტარი (86)

**მილანი**: აბიატი, ძაკარდო, საპატა, მექსე, კონსტანტი (რობინიო 76), მუნტარი, დე იონგი, ნოჩერინო, მატრი (პოლი 87), ბირსა (ემანუელსონი 63), ბალოტელი

**სელტიკი**: ფორსტერი, ვან დიკი, ლუსტიგი, ემბროუზი, იზაგირე, ბრაუნი, მეთიუზი (ბოერიგტერი 75), მალგრიუ (ბიტონი 89), კომონსი (პუკი 77), სტოკსი, სამარასი

გაუჭირდა „მილანს“ და, რომ არა იზარიგე, შესაძლოა, ვერც მოეგო. მატჩის დასრულებამდე სულ ცოტა დრო იყო დარჩენილი, როდესაც ერთ-ერთმა მილანელმა კარისკენ დაარტყა, ბურთი სცდებოდა ფორსტერის კარს, მაგრამ იზაგირემ ფეხი დაუხვედრა და საკუთარ კარში გადაგზავნა. მალევე მუნტარის მეორე გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

### ბარსელონა – აიაქსი 4:0
1:0, 2:0 მესი (22, 55), 3:0 პიკე (69), 4:0 მესი (75)
77-ე წუთზე სიგთორსონმა ვერ გამოიყენა პენალტი

**ბარსელონა**: ვალდესი, ალვესი, პიკე (ბარტრა 80), მასკერანო, ადრიანო, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (ჩავი 71), ინიესტა, სანჩესი, მესი, ნეიმარი (პედრო 72)

**აიაქსი**: ვერმეერი, ვან რეინი, დენსვილი, მოიზანდერი (ვან დერ ჰოორნი 73), ბლინდი (შონე 78), პოულსენი, დე იონგი (სერერო 59), დუარტე, ბოიანი, სიგთორსონი, ბოილესენი

„ბარსელონამ“ იოლად მოიგო, მესი კი ისევ შეუჩერებელი იყო. არგენტინელმა 3 გოლი გაიტანა, რასაც ერთი პიკემ წაამატა.

უსუსურად მოთამაშე „აიაქსს“ ერთი გოლის გაქვითვა შეეძლო, მაგრამ პენალტი ვიქტორ ვალდესმა მოიგერია.

# „გურიაში“ ახალი მწვრთნელია, „დინამოში“ — ახალი დირექტორი

ლანჩხუთის „გურიას“ ახალი მთავარი მწვრთნელი 65 წლის უკრაინელი სპეციალისტი რომან პოკორა გახდა. ლანჩხუთის საზოგადოებას დღეს იგი მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარუდგინეს.

პოკორამ საფეხბურთო კარიერის დიდი ნაწილი ლვოვის „კარპატიში“ გაატარა (1968-74), სადაც მოიგო სსრკ-ს თასი (1968) და გადავიდა სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში (1970). იგი ასევე თამაშობდა ხარკოვის „მეტალისტსა“ (1975) და ივანო ფრანკოვსკის „სპარტაკში“ (1977-79)

1989 წლიდან სამწვრთნელო ასპარეზზეა. წვრთნიდა უკრაინის ქვედა ლიგების კლუბებს ბელცის „ზორიას“, როვნოს „ავანგარდს“. 1992 წელს ლვოვის „კარპატის“ მწვრთნელთა საბჭოში იყო. 1993 წელს „ვოლინს“ ჩაუდგა სათავეში, თუმცა მალევე გაათავისუფლეს. ასევე მუშაობდა „გეტმანსა“ და მუკაჩევოს „კარპატიში“.

ერთ-ერთ დიდ წარმატებას ალექსანდრიის „პოლიგრაფტეხნიკასთან“ ერთად მიაღწია, რომელიც უკრაინის პირველ ლიგაში მესამე ადგილზე გაიყვანა და 2000 წელს უმაღლეს ლიგაში ათამაშა. 2003 წლიდან სათავეში ედგა „ნიკოლაევს“, ვინიცას „ნივას“, „ალექსანდრიასა“ და „ენერგეტიკს“.

2006 წელს ზაქათალის „სიმურგში“ გადავიდა და 2008 წელს აზერბაიჯანში ბრინჯაოს მედლები მოაპოვებინა. ამ დროს „სიმურგში“ რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა. პოკორას დროს „სიმურგს“ წესად ჰქონდა შეკრების საქართველოში გავლა.

სულ ბოლოს 2010-11 წლების სეზონში უკრაინის პირველ ლიგაში ხარკოვის „ჰელიოსს“ წვრთნიდა, თუმცა 2011 წლის აპრილში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს. სად მუშაობდა პოკორა ბოლო 2 წლის მანძილზე, უცნობია.

თუ „გურიაში“ ახალი მწვრთნელია, „დინამო თბილისს“ ახალი დირექტორი ეყოლება. სანდრო შახოვმა „დინამოს“ დირექტორის პოსტი დატოვა. ეს გადაწყვეტილება კლუბის პრეზიდენტის ბატონ რომან ფიფიასა და კლუბის დირექტორის სანდრო შახოვის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქნა მიღებული.

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ მადლობას უხდის სანდრო შახოვს გაწეული სამსახურისთვის. დირექტორის თანამდებობაზე მამუკა მახათაძე იმუშავებს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# დაპირისპირება ახმეტელის თეატრში

ეკა ირემაშვილი




**ახმეტელის თეატრში დაპირისპირებაა. თეატრის მსახიობები თეატრის მმართველს თამაზ გოლაძეს უპირისპირდებიან და თხოვნით მიმართავენ ქალაქის მერს გიგი უგულავას, არ გაითვალისწინოს სარეკომენდაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გაითვალისწინოს თეატრის დასის მოთხოვნა. დასის მოთხოვნა კი იმაში გამოიხატება, რომ სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაინიშნოს რეჟისორი ანდრო ენუქიძე.**

გამაფრთხილებელი აქცია ახმეტელის თეატრის მსახიობებმა მერიის წინ ორიოდე კვირის წინაც მოაწყეს, როცა ქალაქის ხელმძღვანელობისგან დახმარება და ყურადღების მიქცევა ითხოვეს. მაშინ მამუკა ქაცარავამ განაცხადა, რომ კონკურსი აუცილებლად გამოცხადდებოდა და სარეკომენდაციო საბჭო სამხატვრო ხელმძღვანელობის კანდიდატს დაასახელებდა. თუმცა მამუკა ქაცარავას არც ის დაუმალავს, რომ თამაზ გოლაძის მიმართ არ აქვს პრეტენზიები, რადგან მისი ახმეტელის თეატრში მისვლის შემდეგ, თეატრში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

როგორც ახლა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ახმეტელის თეატრის მსახიობებმა განაცხადეს, თბილისის მერიამ კონკურსი ახმეტელის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ნამდვილად გამოაცხადა და გამარჯვებულად თამაზ გოლაძე დაასახელა. მსახიობები განმარტავენ, რომ თეატრში განვითარებულ მოვლენებში თბილისის მერიასა და სარეკომენდაციო საბჭოს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნა ეჭვს ბადებს. პრესკონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ დასის 15 მსახიობიდან თამაზ გოლაძის მომხრე ორი მსახიობია, 13 მსახიობი კი მომხრეა სამხატვრო მმართველად ანდრო ენუქიძე დაინიშნოს.

– თეატრში არსებულ დაპირისპირებას თბილისის მერიას ვაბრალებთ, ვინაიდან, ახმეტელის სახელობის თეატრი თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია და თეატრი ზეგავლენის ქვეშ ექცევა, – განმარტეს მსახიობებმა.

„დასის სურვილი და მოთხოვნა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნულიყო პროფესიით რეჟისორი, სარეკომენდაციო საბჭოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული. ახმეტელის თეატრის დასი უნდობლობას უცხადებს სარეკომენდაციო საბჭოს და თხოვნით მიმართავს ქალაქ თბილისის მთავრობას და გიგი უგულავას, არ გაითვალისწინოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასევე მივმართავთ პარლამენტს, გამოგვიხსნას თბილისის მერიის ბრჭყალებისგან და დაგვაბრუნოს კულტურის სამინისტროსთან, – განაცხადეს პრესკონფერენციაზე ახმეტელის თეატრის მსახიობებმა.

„პროფესიული თეატრების შესახებ“ ახალი კანონის თანახმად ახალ სამხატვრო ხელმძღვანელს სპეციალური სარეკომენდაციო საბჭო წარადგენს, რომლის დამტკიცებაც კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა. თუმცა ამ შემთხვევაში ეს არ ეხება ახმეტელის თეატრს, რადგან იგი თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია და ხელმძღვანელს თბილისის მთავრობის მიერ შერჩეული საბჭო ამტკიცებს. კონკურსი დანიშნული იყო 17 ივლისს, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო გადაიდო და მხოლოდ დასის მიერ 2 სექტემბერს მერიის წინ გამართული აქციის შემდეგ, გამოაცხადა მერიამ ღია კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. 17 სექტემბერს საღამოს 8 საათზე დაინიშნა სარეკომენდაციო საბჭოს სხდომა და ამავე დღეს მოხდა საბჭოს 6 წევრიდან 2 შეიცვალა. კონკურსში მონაწილეობას იღებდა 4 კანდიდატი. ახმეტელის თეატრის დასის უმრავლესობის გადაწყვეტილებით ჩვენი კანდიდატი იყო არაერთი საერთაშორისო ფესტივალის პრიზის მფლობელი, თეატრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გრიბოედოვის თეატრის რეჟისორი ანდრო ენუქიძე, რომელსაც 58 სპექტაკლი აქვს დადგმული საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხოლო ერთ-ერთი კანდიდატი იყო, თეატრის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი, ყოფილი მსახიობი თამაზ გოლაძე. დასის სურვილი და მოთხოვნა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნული ყოფილიყო პროფესიით რეჟისორი, სარეკომენდაციო საბჭოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული და მათი გადაწყვეტილებით, თეატრის ხელმძღვანელად რეკომენდაცია გაეწია თამაზ გოლაძეს. ვინაიდან თეატრის შემოქმედებისა და წინსვლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორის დანიშვნას, ახმეტელის დასი უნდობლობას უცხადებს სარეკომენდაციო საბჭოს და თხოვნით მიმართავს ქალაქ თბილისის მთავრობასა და ბატონ გიგი უგულავას, არ გაითვალისწინოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, – ნათქვამია მსახიობების ოფიციალურ განცხადებაში. მსახიობ მზია ტალიაშვილის განცხადებით, სანამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ვინაობა საჯარო გახდებოდა, თამაზ გოლაძემ უკვე იცოდა, რომ ის დანიშნული იყო თანამდებობაზე და თეატრში ბანკეტი გადაიხადა:

– მთელი ეს ყველაფერი იყო სპექტაკლი. თქვენ გგონიათ ორი კვირაა ვიბრძვით? ჯერ კიდევ მაისში შევედით ქაცარავასთან და ვუთხარით, რომ კარგი ადამიანია გოლაძე, არაფერს ვერჩით, მაგრამ როგორც თქვენ ამბობთ, თუკი თეატრი შავ ორმოს ემსგავსება, იქნებ სამხატვრო ხელმძღვანელზე ვიფიქროთ. ეს არის მთელი წამება მთელი ზაფხული. ახლათ ერთი თვით გვაქვს ხელშეკრულება. ეს არ არის თეატრი, ეს სულ სხვა რამეა.

მსახიობების თქმით, თეატრი „მერიის ბრჭყალებშია“ მოქცეული და განვითარების საშუალება არ ეძლევა, რადგან მმართველისა თუ სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევა დასის გადაწყვეტილებით არ ხდება და აღნიშნულ თანამდებობზე მოხვედრა დანიშვნით ხორციელდება.

– ისიც ითქვა, რომ ჩვენი თეატრის დასი არის ბებერი. მერიის დაქვემდებარებაშია ორი თეატრი – ახმეტელის და პანტომიმის. ითქვა ისიც, რომ ერთში ვერ ლაპარაკობენ და მეორეში არ ლაპარაკობენ. ძალიან გვინდა პასუხი გავცეთ, რა შეგვატყვეს ვერმოლაპარაკე ბებრების?! – უკვირთ მსახიობებს.

პრესკონფერენციაზე მსახიობებმა ისიც თქვეს, რომ არც ის იციან, თუ რამდენია თეატრის ბიუჯეტი, რომელსაც მერია აფინანსებს.

– როცა დაინიშნა კონკურსი და გავიდა 4 კაცი, მათგან სამი იყო რეჟისორი და ერთი გოლაძე, თეატრი ითხოვს რეჟისორს, აქ უკვე მნიშვნელობა არ აქვს, სანდრო იქნება, გოლაძე თუ ანდრო. როცა თეატრმცოდნე ზიხარ საბჭოში და გადაწყვეტილებას იღებ არარეჟისორზე, ეს ხომ უკვე ჩაწყობაა? – კითხვას სვამენ მსახიობები.

მათი თქმით, კულტურის სამინისტროში ჩამოყალიბებულ საბჭოში 7 ადამიანიდან 7!ვე იყო თეატრმცოდნე. მერიაში შექმნილ საბჭოში კი 1 იყო დრამატურგში, ერთი მერიის წარმომადგენელი, 1 ხელოვნებათმცოდნე და 1 ფსიქოლოგი.

**თამარ ბეჟუაშვილი, მსახიობი:**

– გამოდის, რომ ორმა თეატრმცოდნემ გადაწყვიტა ჩვენი თეატრის ბედი? ეს ხომ ეჭვებს იწვევს? ჩვენ ვითხოვთ, მერმა გადახედოს ამ გადაწყვეტილებას, დაინტერესდეს რატომ გოლაძე და რატომ არა რეჟისორი? მაშინ, როცა დასის 15 წევრიდან 13 მხარს ვუჭერდით რეჟისორს. მთავარი დამნაშავე თბილისის მერიაა. ჩვენ მივმართავთ პარლამენტს, გამოგვიხსნას თბილისის მერიის ბრჭყალებისგან და დაგვაბრუნოს კულტურის სამინისტროსთან. შვიდკაციანი სარეკომენდაციო საბჭო არაკომპეტენტურია, ვინაიდან უპირატესობა თამაზ გოლაძეს მიანიჭა. პიროვნულად, მისი საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ თეატრს სჭირდება ისეთი გამოცდილი რეჟისორი, როგორიც ანდრო ენუქიძეა. თამაზ გოლაძეს რამდენიმე ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული წლების წინ. ის თეატრში შემოქმედებით პროცესებში კომპეტენციიდან გამომდინარე, ვერასდროს ერეოდა. ასევე, წლების წინ, როდესაც ბორის წიფურია ცირკის დირექტორი იყო, მას ეხმარებოდა საქმეების წარმოებაში. აი ეს არის მისი შემოქმედებითი გამოცდილება. ანდრო ენუქიძეს კი საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრებში 58 სპექტაკლი აქვს დადგმული. როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად პროგრამა მოამზადა, თამაზ გოლაძემ თავისი დაწერილი პროგრამა დამლაგებლებს, დურგლებს და თეატრის ტექნიკურ პერსონალს გააცნო. მსახიობებს არ გვეკონტაქტება და გაგვირბის.

**მამუკა მაზავრიშვილი, მსახიობი:**

– თამაზ გოლაძე არის პიროვნება, რომელიც ემალება დასს, რატომ, არ ვიცი. მოიწვია კრება, სადაც არ იყო არც ერთი მსახიობი, ტექნიკური პერსონალი იყო მარტო და დამლაგებლებს, კაპელდინერებს გააცნო თავისი გეგმები. კი ბატონო, გაკეთდა რემონტი, გაკეთდა გათბობა, მაგრამ თავისი ჯიბით გააკეთა? მომცენ ფული და მეც გავაკეთებ რემონტს. აგვარჩევინეთ სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც რეჟისორი თუ არა მსახიობი მაინც უნდა იყოს და გამოცდილება გააჩნდეს დასთან მუშაობის. ჩვენი თეატრი დიდ, შავ ორმოშია ჩავარდნილი და ამ ორმოდან გამოცდილმა ადამიანმა უნდა ამოიყვანოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს ახმეტელის თეატრის ყოფილი მმართველი **თამაზ გოლაძე:**

– პირველ რიგში, კანონი თეატრების შესახებ ცალსახად ამბობს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელად შეიძლება იყოს რეჟისორი და მსახიობი. მსახიობის დიპლომი გამაჩნია და სხვათა შორის, ამაზე აღარავინ დაობს. მეორეც, ის კონკურსი, რომელიც ჩატარდა მერიაში, ვთვლი, რომ ჩატარდა მაღალპროფესიულ დონეზე. ის იყო იმდენად ობიექტური, რომ საკრებულოს კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის წარმომადგენელიც ესწრებოდა. დავას არ იწვევს ეს ყველაფერი. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იქიდან წამოსული, რომ ამ ადამიანებმა ჩემი ლანძღვის, ძაგების, ყველა ბრუნვაში მოხსენიების შედეგად, ამოწურეს ყველა რესურსი იმისა და აღარ დაიტოვეს უკან დასახევი გზა იმისათვის, რომ ელემენტარულად დაჯდნენ, თვალებში შემომხედონ, დავილაპარაკოთ და თქვან, რაში მადანაშაულებენ.

***– რატომ დაგიპირისპირდათ ახმეტელის თეატრის დასი?***

– ჩემი აზრით დაპირისპირება მოხდა, უფრო სწორად მოხდა მათი გამოყენება სხვა ძალების მიერ, ამ ძალებზე არ ვილაპარაკებ და არ შევჩერდები, იმიტორმ რომ დააჯლოებით ეს უკვე ცნობილია და ეს ადამიენბი იყვნენ აგმოყენებულნი და ეს ადამიანები დღცესაც მართვადნი არიან.

***– ვის მიერ?***

– ისინი იმართებიან იმ ძალების მიერ, რომელ ძალებსაც სურთ, პირდაპირ ვიტყვი, თეატრის ხელში ჩაგდება.

***– ირიცხებიან ეს ადამიანები თეატრში, თუ ყველა გაათავისუფლეთ და კონკურსის წესით თავიდან უნდა მიიღოთ?***

– ეს ადამიანები, ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის დანიშვნამდე, ისევე როგორც პირველი ივლისიდან, როცა დამთავრდა ხელშეკრულებების ვადა, მეორე დღეს დაიწერა ბრძანება და ეს ადამიანები დღემდე, სანამ არ გაფორმდება იურიდიულად სამხატვრო ხელმძღვანელიც დანიშვნა, არჩეული კი არის, მაგრამ ოფიციალურად დანიშვნა, ეს ადამიანები ირიცხებიან თეატრში, მათ მიიღეს ივლისის, შვებულების და მიიღებენ ხელფასს, თუმცა ეს ადამიანები სამწუხაროდ, თეატრში არ მობრძანდებიან.

***– როდის გაფორმდება დოკუმენტი ოფიციალურად?***

– ფაქტიურად უკვე არჩეული ვარ და დამტკიცება მოხდება უახლოეს ხანში.

***– თუ დატოვებთ თქვენს წინააღმდეგ დაპირისპირებულ ადამიანებს თეატრში?***

– საქმე იმაშია, რომ საერთოდ არ მჩვევია გაბრაზება. მაქვს საკითხი მორალზე და იმ ადამიანებზე, რომლებმაც შეძლეს, თავს უფლება მისცეს და იმდენი სიცრუე და ცილისწამება და არარსებული ღვარძლი აფრთქვიეს ჩემ წინააღმდეგ, რომ ძალიან მაინტერესებს მათი მორალი, მათი ზნეობა და მათი ადამიანობა როგორ წარიმართება და რა მნიშვნელობას შეიძენს ამ შემთხვევაში. იმასაც ველოდები, რომ შეიძლება ვიღაცას გონება გაეხსნას და მოინანიოს ის ქმედებები, რომლებიც მათ ჩაიდინეს, ამიტომ ერთად დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# ლისის ტბაზე ელექტრონული მუსიკის კონცერტი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

ბათუმის საერთაშორისო ელექტრონული მუსიკის ფესტივალის დასკვნით კონცერტზე გამომსვლელი ჯგუფის კონცერტი 20 სექტემბერს თბილისში გაიმართება. როგორც „ბათუმი სამარ სეტის“ ორგანიზატორები განმარტავენ, ფესტივალის ბოლო დღეს კონცერტი უამინდობის გამო ჩაიშალა. ძლიერმა ქარმა და წვიმამ ორგანიზატორებს და ფესტივალში მონაწილეებს არ მისცა საშუალება, დასკვნითი ღონისძიება მოეწყოთ.

ფესტივალში გაერთიანდა როგორც მსოფლიოში ცნობილი, ასევე ქართველი მუსიკოსები. ამჯერად თბილისს ცნობილი ჯგუფი ფეითლესი ეწვევა.

– ბათუმში გამართული ღონისძიების მთავარი გამომსვლელი, თბილისში, ლისის ტბის სიახლოვეს ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე გამართავს კონცერტს. 20 სექტემბერს, ისევე როგორც 24 აგვისტოს დაგეგმილ კონცერტზე, ცნობილი უცხოური ჯგუფის გარდა, გარდა ქართველი არტისტებიც გამოვლენ, – ამბობენ ფესტივალის ორგანიზატორები.

ფესტივალის ორგანიზატორი კომპანია „მთვრალი ალუბალია“.

– „ფესტივალის ორგანიზატორი კომპანია „მთვრალი ალუბალი“ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფესტივალი, ინფრასტრუქტურის მხრივ, მზად იყო წვიმისთვის, რაც ფესტივალზე მოსულმა სტუმრებმა თავადაც ნახეს. თუმცა, 24 აგვისტოს მომხდარი ინციდენტი ფორსმაჟორი იყო. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი დოკუმენტურად ადასტურებს, რომ ფესტივალის ტერიტორიაზე იყო ძლიერი წვიმა და შტორმული ქარი, – აღნიშნულია ორგანიზატორების განცხადებაში.

მათივე განმარტებით, კონცერტზე დასწრება თბილისში 35 ლარი ღირს. ბილეთები 10 სექტემბრიდან უკვე იყიდება ფილარმონიის სალაროებში. მათ, ვინც აგვისტოში ვერ დაესწრნენ კონცერტს, ბილეთის ან აბონემენტის შენახვის შემთხვევაში ეძლევათ საშუალება კონცერტზე მოხვდნენ, ის მსმენელი კი, ვისაც კონცერტზე დასწრება არ სურს, ან გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლია, ბილეთის დაბრუნებას ფილარმონიის სალაროებში შეძლებს.

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. საიდუმლო დოკუმენტების დამტარებელი სამხედრო უწყების კურიერი; 2. სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის ფუძემდებელი; 3. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 4. მრავალსაჭრისიანი სახარატო იარაღი; 5. გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი; 6. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 7. ყირგიზეთის დედაქალაქი; 9. პოპულარული ტყეპარკი პარიზში; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 17. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან გამოსახულება; 18. საკვები პროდუქტის ზედაპირზე წარმოქმნილი სოკოვანი წარმონაქმნი.

**თარაზულად**: 1. ქიმიური ელემენტი, რომელიც სიბნელეში ანათებს; 3. შემოკლებული ხელმოწერა, ინიციალები; 8. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 10. ზოგიერთი გასტრონომიული სასურსათო პროდუქტების საერთო სახელწოდება; 11. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 12. ფრანგული სიგარეტი; 14. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 15. ნაყინის დასამზადებელი აპარატი; 16. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 19. მხარე ავსტრიაში; 20. კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება; 21. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. თორი; 2. იდო; 3. პლატფორმა; 4. ბურგი; 5. ბაჯაღლო; 8. „მახა“; 9. ძამბეზი; 10. გარანტია; 12. „აიაქსი“; 13. ფიატი; 15. აპაში.

**თარაზულად:** 1. თაკვერი; 6. კლაუზულა; 7. რომბი; 10. გოტიე; 11. შხარა; 13. ფობია; 14. აიაჩო; 16. ქადა; 17. ანორაკი; 18. კორიფე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ვინჩესტერი“; 2. „დავითი“; 3. მადიარი; 4. თარჯი; 5. ვილნიუსი; 6. ფლუსი; 7. მესხეთი; 9. ბუხარა; 13. განგი; 17. რომი; 18. შჩი.

**თარაზულად:** 1. „ვეჯვუდი“; 3. მახათა; 8. ფიუკე; 10. დიონისე; 11. შეიხი; 12. სინდიყი; 14. შტორმი; 15. ბაიკალი; 16. სარფი; 19. ჩოგორი; 20. სირტაკი; 21. ასკილი.

ჩვენს საყვარელ
**დალი დავითურს**
ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას,
სიხარულს, სიყვარულს! დღეგრძელობას
მრავალჟამიერ!
*„ახალი თაობა“*

# ჯონ მაკკეინი — რუსები იმაზე მეტს იმსახურებენ, ვიდრე პუტინია





„რუსები იმაზე მეტს იმსახურებენ, ვიდრე პუტინია", — ამ სათაურით აქვეყნებს ღია წერილს სენატორი ჯონ მაკკეინი, რომელიც რუსულ გამოცემა „პრავდაში" გამოქვეყნდა.

როგორც ამერიკელი სენატორი აღნიშნავს, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს არ სწამს რუსი ხალხისა და მისი თავისუფლების. მისივე განცხადებით, სჯერა რუსი ხალხის სიდიადის და მისი მისწრაფების, იცხოვროს სამართლიან საზოგადოებაში.

„როდესაც თქვენს ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ვარ განწყობილი. არამედ იმიტომ, რომ თქვენ იმსახურებთ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც გენდობათ, პატივს გცემთ და ანგარიშვალდებული იქნება თქვენს წინაშე. ვიმედოვნებ, ვნახავ იმ დღეს, როცა ეს მოხდება. ნება მიბოძეთ, განგიმარტოთ, რომ მე არ ვარ ანტირუსულად განწყობილი. პირიქით, პრორუსული ვარ და თან იმაზე მეტად, ვიდრე ის რეჟიმი, რომელიც თქვენ გმართავთ. მჯერა, რომ თქვენ იმსახურებთ, გაიუმჯობესოთ ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკა ყვავის და კეთილდღეობას ქმნის ყველასთვის და არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. თქვენ უნდა ცხოვრობდეთ სამართლიან სახელმწიფოში, სადაც მოქმედი კანონი ნათელია, სამართლიანი და თანმიმდერულად და ობიექტურად გამოიყენება", — წერს ჯონ მაკკეინი და დასძენს, რომ რუსეთის მოქალაქე ვერ გააკეთებდა ისეთ განცხადებას, როგორსაც თავად წერს ამ წერილში.

„პრავდაში" გამოქვეყნებულ წერილში ამერიკელი სენატორი ასევე აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტსა და მის გარემოცვას არ სწამს ისეთი ფასეულობების, როგორიც ადამიანთა უფლებები, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვაა.

„პრეზიდენტი პუტინი და მისი გარემოცვა პატივს არ სცემენ თქვენს ღირსებას და არ აღიარებენ თქვენს ძალაუფლებას მათზე. ისინი სჯიან და აპატიმრებენ ოპონენტებს, მანიპულირებენ თქვენი არჩევანით, აკონტროლებენ თქვენს საინფორმაციო საშუალებებს, დევნიან, ემუქრებიან და უკრძალავენ მუშაობას ორგანიზაციებს, რომლებიც თქვენს უფლებებს იცავენ. თავიანთი ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელს უწყობენ კორუფციას თქვენსავე სასამართლოებს და ეკონომიკაში, ატერორებენ და კლავენ კიდეც ჟურნალისტებს, რომლებიც ცდილობენ ამხილონ მათი კორუმპირებულობა", — წერს ჯონ მაკკეინი.

ამერიკელი სენატორი ასევე აღნიშნავს, რომ პუტინი და მისი გარემოცვა ქმნიან ისეთ კანონებს, რომლეიც შეურიგებელია სექსუალური უმცირესობების მიმართ. მისივე თქმით, რუსეთის ხელისუფლებამ პანკ-ჯგუფის წევრები მხოლოდ იმიტომ დააპატიმრა, რომ ისინი პროვოკაციულები და ვულგარულები იყვნენ და ეყოთ გაბედულობა პროტესტი გამოეთქვათ პრეზიდენტ პუტინის მმართველობის წინააღმდეგ. მაკკეინი ასევე აღნიშნავს, რომ სერგეი მაგნიტსკის მიმართ ჩადენილი რუსეთის ხელისუფლების დანაშაული მხოლოდ მაგნიტსკის წინააღმდეგ კი არა, რუსი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იყო.

„პუტინი არ ამაღლებს რუსეთის რეპუტაციას მსოფლიოში, ის ანადგურებს მას. პუტინმა რუსეთი ტირანებისა და გამნადგურებლების მეგობრად აქცია. პუტინს არ ენდობიან ის ადამიანები, ვინც ისწრაფვის, რომ ჩვენი პლანეტა უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი გახადოს. პუტინს კი არ სჯერა ამ ფასეულობების, რადგან მას არ სწამს თქვენი. არ სწამს, რომ თავისუფლება ადამიანის ბუნებას თავის სისუსტეებზე მაღლა აყენებს და შეუძლია სამართლიანი, მშვიდობიანი და აყვავებული საზოგადოების შექმნა. ან სულ მცირე, მას არ სწამს იმის, რომ რუს ხალხს შეუძლია მის გაკეთება. ამიტომ ამ სისუსტეების გამოყენებით, ის კორუფციით, რეპრესიებითა და ძალადობით მართავს სახელმწიფოს და მართავს მას თავისთვის და არა — თქვენთვის", — წერს ამერიკელი სენატორი.

ჯონ მაკკეინის წერილი ერთგვარი გამოხმაურებაა 11 სექტემბერს „ნიუ იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ ვლადიმერ პუტინის საავტორო წერილზე, სადაც მან ამერიკელ ხალხს ბარაქ ობამას გადაწყვეტილებაზე — სირიაში სამხედრო ინტერვენციის თაობაზე მიმართა.

„საგანგაშოა, რომ უცხო ქვეყნის კონფლიქტში ჩარევა სამხედრო გზით აშშ-სთვის ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჩნდება კითხვა — შედის თუ არა ეს აშშ-ის გრძელვადიან ინტერესებში? — ვეჭვობ. პლანეტაზე მილიონობით ადამიანისთვის ამერიკა სულ უფრო ხშირად განიხილება არა როგორც დემოკრატიის მოდელი, არამედ როგორც მოთამაშე, რომელიც ფსონს უხეში ძალის გამოყენებაზე დებს და ლოზუნგით „ვინც ჩვენთან არ არის — ჩვენს წინააღმდეგაა" მოქმედებს", — დაწერა რუსეთის პრეზიდენტმა და აშშ-ის ხელისუფლებას მოუწოდა, კონფლიქტის პოლიტიკურ-დიპლომატიური გზით მოგვარებაზე დაფიქრებულიყო.

სირიის ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვისა და ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის მიერ მიღწეული შეთანხმების შემდეგ, „გელაპმა" ამერიკაში გამოკითხვა ჩაატარა, საიდანაც ირკვევა, რომ მოსახლეობის 50% რუსეთს ამერიკის ინტერესების მტრად მიიჩნევს.

ანალიტიკოსები კი აღნიშნავენ, რომ ამ შედეგებზე გავლენა ედვარდ სნოუდენისათვის მოსკოვის მიერ თავშესაფრის მინიჭებამ და რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავი კანონის შემოღებამ იქონია.

ამასთან, გამოკითხულთა 72% დადებითად შეხვდა მოსკოვისა და ვაშინგტონის ერთობლივ ძალისხმევას სირიის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. ამ ორი ქვეყნის ერთობლივად მუშაობა მხოლოდ გამოკითხულთა 18%-ს არ მოეწონა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სირიის პრეზიდენტი მზად არის, ქიმიური იარაღი გაანადგუროს



სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადის მზად არის, ქვეყანაში არსებული ქიმიური იარაღი გაანადგუროს, — ამის შესახებ „ბიბისი" იუწყება.

ამერიკულ „ფოქს ნიუსთან" საუბრისას, ასადმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სახელისუფლებო ძალები არ არის პასუხისმგებელი 21 აგვისტოში დამასკოში განხორციელებულ ქიმიურ შეტევაზე.

„ქიმიური იარაღის განადგურება, ტექნიკური თვალსაზრისით, ძალიან რთული და ძვირად ღირებული ოპერაციაა. განადგურებას დაახლოებით მილიარდი დასჭირდება. ასე რომ, ექსპერტებს უნდა ვკითხოთ, რას გულისხმობენ იარაღის სწრაფად განადგურებაში. ეს ოპერაცია გეგმის მიხედვით უნდა განხორციელდეს და მას დაახლოებით ერთი წელი ან ცოტა მეტი დასჭირდება", — განაცხადა ამერიკული ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა.

ინტერვიუ „ფოქსის" ტელევიზიასთან დამასკოში ჩაიწერა და ის ამერიკულმა საზოგადოებამ 18 სექტემბერს იხილა. ინტერვიუს ყოფილი ამერიკელი კონგრესმენი და ამჟამად, ფოქსის ანალიტიკოსი დენის კუსინიჩი უძღვებოდა.

ასადმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა სამოქალაქო ომს არ ებრძვის. მან სირიაში მიმდინარე კონფლიქტი „ომის ახალ ტიპად" შეაფასა და თქვა, რომ მთავრობა 80 ქვეყნიდან ჩასულ ისლამისტ ექსტრემისტებს ებრძვის. ასადმა ობამას მოუწოდა თავი შეიკავოს სამხედრო მუქარისგან და ამერიკელ პრეზიდენს ურჩია „საკუთარ ხალხს მოუსმინოს".

სირიის პრეზიდენტის განცხადებით, ის ქვეყანაში გაეროს ინსპექტორების დაბრუნებას მიესალმება.

„ჩვენ მათ კვლავ ვთხოვეთ სირიაში ჩამოსვლა, რათა გამოძიება განარგძონ" — ,განაცხადა პრეზიდენტმა ინტერვიუში.

მისი თქმით, მას არ ჰქონდა საკმარისი დრო, რათა გამომძიებლების ბოლო დასკვნებს გაცნობოდა, თუმცა როგორც ასადმა აღნიშნა, მათ კიდევ ბევრი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი.

„მათ ჯერ სამუშაოებია არ დაუსრულებიათ", — დაამატა ასადმა, რომლის თქმითაც ჯერ კვლავ გაურკვეველია, ვინ დგას 21 აგვისტოს თავდასხმის უკან.

უნდა აღინიშნოს, რომ სირიის მიერ ქიმიური იარაღის განადგურების გეგმა გასულ შაბათკვირას აშშ-მა და რუსეთმა შეათანხმეს.

დასავლეთი მოითხოვს, რომ სირიის მიერ ქიმიური იარაღის განადგურების გეგმა გაეროს რეზოლუციით იქნეს გამყარებული. რუსეთი კი ამ წინადადების წინააღმდეგ გამოდის.

შეგახსენებთ, რომ 21 აგვისტოს დამასკოს გარეუბანში ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად 1000-მდე ადამიანი დაიღუპა.

გაეროს ქიმიური იარაღის მთავარი ინსპექტორი აცხადებს, რომ მისი გუნდი სირიაში რამდენიმე კვირაში კვლავ დაბრუნდება, რათა ქიმიური იარაღის გამოყენების რამდენიმე სხვა ბრალდება შეისწავლოს.

დღეს, აკე სელსსტრომმა კერძოდ თქვა, რომ მისი ჯგუფი მორიგი ვიზიტის დროს ორივე მხარის მიერ ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენების ბრალდებებს შეისწავლის.

სელსტრომმა ასევე დასძინა, რომ გამოძიებას საჭიროებს კიდევ 14 ინციდენტი. მან აღნიშნა, რომ ინსპექტორები ხელახალი ვიზიტის დროს არ შეჩერდებიან 21 აგვისტოს თავდასხმის პასუხიმგებლობის საკითხზე. აღნიშნულ ინციდენტში, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, 1400 ადამიანი დაიღუპა.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ რაც დასავლეთის სახელმწიფოებმა გაეროს ანგარიშის თანახმად ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის სირიის რეჟიმი ამხილეს, რუსეთმა ანგარიშს „პოლიტიზებული, მიკერძოებული და ცალმხრივი უწოდა".

„ბი-ბი-სის" ინფორმაციით, გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ის ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც გერმანიიდან სირიაში 2002-2006 წლებში გაიტანეს, მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენებოდა.

ადრე ცნობილი გახდა, რომ ქიმიკატები, რომელიც ზარინის გაზის დასამზადებლად გამოიყენება, გერმანიიდან სირიაში ამ პერიოდში გაიტანეს. მერკელის თქმით, მისი მონაცემებით, ქიმიკატები მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოიყენეს.

მისი თქმით, ხელისუფლება აზუსტებს კონკრეტულად რაში გამოიყენეს გერმანიიდან 2006-დან 2011 წლამდე გატანილი ქიმიური ნივთიერებები, როდესაც გერმანიამ სირიაში ექსპორტის მკაცრად გაკონტროლება დაიწყო.

# სამგლოვიარო განცხადებები

მერი, ელენე, ლილი და კობა პირველაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბიძაშვილის შვილის

**ზურაბ ლევანის ძე პირველაშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

## 1 წელი გიორგი აბურჯანიას გარეშე



შარშან 20 სექტემბერს იტალიის ქალაქ კოზენცაში კალაბრიის უნივერსიტეტში ევროკომისიის მე-7 ჩარჩო-პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო მივლინებისას მოულოდნელად გარდაიცვალა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი აბურჯანია. სიცოცხლით, სიხარულითა და უამრავი კეთილი გეგმით აღვსილს, უეცრად უღალატა ცხოვრებამ და უნუგეშოდ დაგვტოვა ოჯახი, ნათესავები, ახლობლები და კოლეგები. ბატონ გიორგის უზომოდ უყვარდა თავისი პროფესია, მუდამ ახლის ძიებაში იყო. მის მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევები აქტუალური იყო და აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ. მთელი მისი ცხოვრების აზრი სწორედ რომ მეცნიერების მსახურება იყო. ბატონი გიორგი მუდამ ჩქარობდა და ამასვე მოითხოვდა კოლეგებისა და მოწაფეებისგან. თითქოს წინდაწინ გრძნობდა, რომ ხანმოკლე იყო მისი ამქვეყნად ყოფნა და რაც შეიძლება მეტის მოსწრებას ლამობდა. ბევრის გაკეთება მოასწრო მეცნიერებაში. გამოაქვეყნა 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მაღალრეიტინგულ იმპაქტ-ფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალებში; გამოსცა ერთი მონოგრაფია გრიგალური სტრუქტურების თვით-ორგანიზაციასა და გრიგალური ტურბულენტობის შესახებ დისიპაციურ იონოსფეროში; იყო რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი; ჰქონდა კავშირები მრავალ საერთაშორისო კვლევით ცენტრთან, მათ შორის კალაბრიის უნივერსიტეტთან, სადაც აღესრულა კიდეც. თუმცა, ბევრი ამოცანა დარჩა დაუსრულებელი. იტყოდა ხოლმე, რომ კვლევებში ერთდროულად უამრავი მეცნიერის ჩაბმა შეუძლია და რომ ორი სიცოცხლე არ ეყოფა თავისი იდეების განსახორციელებლად. მთელი ცხოვრება დაუღალავად შრომობდა და ასევე აქტიური სამეცნიერო საქმიანობისას წავიდა ჩვენგან. ბევრი კვლევის ხორცშესხმა მოასწრო თავის ხანმოკლე სიცოცხლეში, თუმცა, ბევრიც დარჩა გასაკეთებელი. დიდი პატივი და ამასთანავე პასუხისმგებლობა დაგვეკისრა ჩვენ, მის მოწაფეებს, ისევე ღირსეულად გავაგრძელოთ და განვახორციელოთ ბატონი გიორგის დაწყებული საქმეები, როგორც ეს მას შეეფერებოდა.

უდიდესი ბედნიერება იყო ბატონ გიორგისთან მუშაობა. მეცნიერებასთან ერთად, ცხოვრებისეულ სიბრძნეს ვეუფლებოდით მის გვერდით. მას ჰქონდა უნარი, რთული პროცესები მარტივად აეხსნა და აღქმა გაეადვილებინა ჩვენთვის. მისი სასარგებლო რჩევები ციტატებად და ცხოვრებისეულ კრედოდ გვექცა. ის იყო ჩვენი უფროსი მეგობარიც, შვილებივით უყვარდა და ზრუნავდა თავის მოწაფეებზე — ჩვენზე.

ერთი წელი გავიდა ბატონი გიორგის გარეშე. თუმცა, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის მუდამ ჩვენ გვერდით იყო სამსახურში თუ საერთაშორისო ფორუმებზე — ყველა მოხსენება ბატონი გიორგის ხსოვნის პატივისცემით იწყებოდა.

ჩვენ, მისმა მოწაფეებმა და მეგობრებმა, ბატონი გიორგის წლად გამოვაცხადეთ ეს გაუსაძლისი წელი. ვფიქრობ, ჯერჯერობით, ღირსეულად ვართმევთ თავს დაკისრებულ მოვალეობას.

ბატონი გიორგი მუდამ ჩვენ გვერდით იქნება და კიდევ დიდხანს გაგვინათებს გზას სამეცნიერო სამყაროში.

*ოლეგ ხარშილაძე და ხათუნა ჩარგაზია*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**პარასკევი 20 სექტემბერი**

**08.00** დ/ფ "ჰოლივუდი" **09.00"10.00"12.00"16.00"19.00"**მოამბე" **09.10** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **10.15** ან/სერ. "ჯადოსნური პლანეტა" **11.00** "გურმანია" **12.35** მხ/ფ "**მიჩივლე**" **14.30** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **15.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **17.30** მხ/ფ "**დადის ხმები**" (ენისტონი"კ. კოსტნერი) **19.35** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ტახევარფინალი. (პ/რ) **21.45** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.50** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი (პ/რ) **00.50** დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთა" **01.30** მხ/ფ "**კიბორჩხალა სადილზე**"

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.30** "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) **14.00, 16.00, 00.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**". **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.30** იმედის დილა (პ/ე) **09.00, 12.00, 15.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30** ქალები თუ კაცები (გ/ჩ) **14.40** იმედის გმირები (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **11** სერ. **20.50** სერ. "**სილა**" **5** სერია **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** სერ. "**კამორას კლანი**" **1** სერია **01.10** მხ/ფ "**ძმები**"

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (კვირის გ/ჩ) **17.00** სერ."**ნამდვილი გრძნობა**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია - დაწყება **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**ოქროს ოზობა**" IV ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "შურიმშინე" **11.00** ჩვენი ფონდი **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**კაცია ადამიანი?!**" **13.25** ქართული მულტფილმი **13.30** მართლმადიდებლური კატეხიზმო **13.35** ფოტოგალერეა **13.40** დოკ/ფ "გზა" V სერ. **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.40** კონცერტი -სტეფან გრაპელი **17.00** კვირიაკე **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ცხელი ზაფხულის სამი დღე**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სათავეებთან **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** მხ/ფ "**ჩარირამა**" **02.15** ირაო

**მაესტრო** **7.00 , 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმები **8.30, 9.15** მაღვიძარა (სიუჟეტების კოლაჟი) **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** **12.50** თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) **14.30, 6.45** ფარული კამერა **17.45, 21.30, 1.15, 4.45** "ყოველდღიური აბები" **18.05, 1.30, 5.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "ასი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** "კინო მაესტროზე"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 სექტემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6638 |
| ევრო | 2,2215 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,6569 |
| 100 რუსული რუბლი | 5,1599 |

## ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისთვის




# ამერიკელებმა 100 ათასი დოლარი შეუგროვეს პატიოსან მაწანწალას, რომელმაც ფულით სავსე ჩანთა დააბრუნა



შეერთებულ შტატებში მძიმე ამბები დროებით გვერდზე გადადეს. ადგილობრივი მედიისა და მოსახლეობის ყურადღება უსახლკარო ბოსტონელის, გლეინ ჯეიმსის ჯადოსნური ისტორიისკენაა მიპყრობილი. მაწანწალამ ამერიკელებს პოზიტიური განწყობისთვის საბაბი მისცა, ამასთანავე პატიოსნების გაკვეთილი წაუკითხა, დაამტკიცა რა, რომ ამ თვისებას რეალურად სარგებლის მოტანაც შეუძლია.

პრესის ყურადღების ცენტრში მოწყალების მთხოვნელი ორშაბათს მოხვდა, როდესაც სავაჭრო ცენტრში ჩანთა იპოვა, რომელშიც 41 ათასი დოლარი და ჩინეთის მოქალაქეზე გაცემული პასპორტი იყო. იმის მაგივრად, რომ ნაპოვნი მიეთვისებინა, პატიოსანმა უქონელმა ის პოლიციაში მიიტანა, საიდანაც მფლობელს დაუბრუნეს. სხვათაშორის, როგორც „დეილი მეილი“ ამტკიცებს, ის აღმოჩნდა ჩინელი სტუდენტი, რომელიც შტატებში მეგობრის მოსანახულებლად ჩავიდა.

ჯეიმსის საქციელმა ადგილობრივი მედია ელვის უსწრაფესად შემოიარა. ბევრმა ამერიკელმა აღფრთოვანება გამოხატა. ხოლო ვირჯინიის შტატის მკვიდრმა, იტან ვიტინგტონმა ქსელში ფონდი დააფუძნა, რომელშიც ყველა მსურველს უსახლკაროს დასახმარებლად ფულის გადარიცხვა შეუძლია.

ხუთშაბათისთვის ფონდის ანგარიშზე უკვე 92 ათასი დოლარი შეგროვდა, რომელიც 3,7 ათასზე მეტმა ადამიანმა გადარიცხა. შემოწირულობის ოდენობამ, ერთიდან ხუთას დოლარამდე შეადგინა.

ფონდის შემქმნელი თვლის, რომ სახსრების შეგროვება დასრულდება, როცა თანხა 250 ათასს მიაღწევს. ამის შემდეგ შეკრებილი ფული ჯეიმსს გადაეცემა, რომელიც ამით საცხოვრებელს შეიძენს. ამ დროისთვის, მაწანწალა უსახლკაროთა ბოსტონის თავშესაფარში ცხოვრობს.

გ. მ.

## ასტროპროგნოზი 20 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **კირჩხიბი** — კითხვა გაწუხებთ, პასუხს თქვენით იპოვით. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს. **ქალწული** — ცხოვრება გეცვლებათ, წარმატება მოვა. **სასწორი** — გადაწყვეტილება თქვენ უნდა მიიღოთ, ნურავის დაელოდებით. **მორიელი** — ფიქრებში ხართ, რეალობას აცდებით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ფული გაქთ. კიდევ იშოვით. **მერწყული** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **თევზები** — ყველაფერს აკეთებთ, მაგრამ შედეგით არ ხართ კმაყოფილი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. საზღვაო-სავაჭრო ხელშეკრულება; 2. ავსტრალიური სირაქლემა; 3. ქართული გაზეთი; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. სამრეწველო რაიონი გერმანიაში; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 10. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ბრილიანტი; 12. თემის, გვარის მეთაური სვანეთში; 13. ადამის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, მოღალატე ადამიანის სინონიმი; 15. კახეთის სამეფოს დედაქალაქი.

**თარაზულად**: 1. ქართველი პაროდისტი, თბილისის კოლორიტი; 6. ფარიკაობა ძველად საქართველოში; 7. მოძრავი სცენა თეატრში; 10. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 11. მაღალხარისხოვანი მინა; 13. შოკოლადის ხე; 14. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. მდინარე თბილისში; 17. კუთხე საქართველოში; 18. იმრე კალმანის ოპერეტა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები




მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა

20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები

27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


# ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომი ჩაწერილია

ეკა ირემაშვილი

მუსიკალური პროექტის „ჯეოსტარი“ გამარჯვებულის ოთო ნემსაძის სადებიუტო ალბომი ჩაწერილია. როგორც კომპანია „ბრავო რექორდსში“ აცხადებენ, მისი პრეზენტაცია 5 ოქტომბერს გაიმართება.

„ფიქრების ზღვა“ — ასე ეწოდება მომღერლის ალბომს. ოთო ნემსაძე ქართული მუსიკალური სცენისათვის 2010 წლის აღმოჩენად არის მიჩნეული. „ჯეოსტარის“ გენერალურმა სპონსორმა, კომპანია „ჯეოსელმა“ ოთოს ჯილდოდ სადებიუტო ალბომის დაფინანსება გადასცა. მისი ალბომის ჩაწერა და გამოცემა მუსიკალურმა ბიზნეს კომპანიამ „ბრავო რექორდსმა“ განახორციელა. პროექტის სპონსორები არიან კომპანია „ჯეოსელი“ და „ბორჯომი“.

როგორც „ბრავო რექორსდში“ აცხადებენ:

— ალბომის მუსიკალური კონცეფციის იდეა „ჯეოსტარის“ ერთ-ერთი ტურის შემდეგ დაიბადა, სადაც ოთომ სიმღერა „თოვლი“ შეასრულა. იდეა, ცნობილი კომპოზიტორის და შემსრულებლის, თბილისის კოლორიტისა და საპატიო მოქალაქის ოთარ რამიშვილის სიმღერების ახლებურად შესრულებას გულისხმობდა. ოთარ რამიშვილის საყოველთაოდ ცნობილ მუსიკალურ ნაწარმოებებს თანამედროვე და საკმაოდ ორიგინალური არანჟირებები უნიჭიერესმა მუსიკოსმა ზვიად ბოლქვაძემ მიუსადაგა. ალბომში სახელწოდებით „ფიქრების ზღვა“ ოთარ რამიშვილის 10 საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები შედის. ასევე ოთოს ერგო პატივი, შეესრულებინა, სამწუხაროდ, ბოლო დუეტი სიმღერაზე „თოვლი“ ოთარ რამიშვილთან ერთად, რომელიც დამატებით, ამ ალბომში ბონუს მუსიკალურ ნაწარმოებად შევიდა. ოთოს ხმის ტემბრმა და შესრულების მანერამ



პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებები თანამედროვე არანჟირებით დღევანდელი ახალგაზრდობისათვის უფრო მიმზიდველი გახადა.

სტუდიური ჩაწერები „ბრავო რექორდსში“ უკვე დასრულებულია და ამ ეტაპზე ალბომის დიზაინის კონცეფციაზე და საპრეზენტაციო კონცერტის ორგანიზაციულ საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს. ალბომის საპრეზენტაციო კონცერტი, თბილისის კულტურული ღონისძიების ცენტრის მხარდაჭერით თბილისობის ღონისძიებების ფარგლებში, 5 ოქტომბერს მეიდანზე გაიმართება და მასზე დასწრება თავისუფალი იქნება. კონცერტზე გარდა ალბომში შესული 11 მუსიკალური ნაწარმოებისა ოთო ნემსაძე ცნობილ მომღერლებთან ერთად დუეტებსაც შეასრულებს.

**ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელი:**

— ეს არის ძალიან საინტერესო ნამუშევარი იმ თვალსაზრისით, რომ ბატონი ოთარ რამიშვილის ყველაზე ცნობილ სიმღერებზე არის აგებული ჩვენი ნიჭიერი, დამწყები მუსიკოსის, ოთარ ნემსაძის ალბომი. ძალიან ორიგინალურია მუსიკალური არანჟირების ის ვერსიები, რომლებიც გაჟღერდება ამ ალბომში. ის სიმღერები, რომლებიც უფროსი თაობისთვის არის საყვარელი, ახალგაზრდებისთვისაც ძალიან საყვარელი გახდება. ალბომი კი მთლიანად ბატონი ოთარ რამიშვილის ხსოვნას ეძღვნება.

— ჩემი ალბომის პრეზენტაცია თბილისობაზე გადაწყდა. ალბომში ოთარ რამიშვილის 10 სიმღერაა შესული, თითოეული მათგანი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემს კარიერაში ეს არის პატარა პიკი, ძალიან ვნერვიულობ და თქვენი მხარდაჭერის იმედი მაქვს, ერთად აღვნიშნოთ თბილისობა 5 ოქტომბერს 8 საათზე მეიდანზე, — განუცხადა მედიის წარმომადგენლებს ოთო ნემსაძემ.

ოთო ნემსაძემ „ჯეოსტარში“ გამარჯვების გარდა, არანაკლებ წარმატებას მიაღწია უკრაინულ „ვოისშიც“. მუსიკალური კონკურსი, რომელიც მთელს მსოფლიოშია ცნობილი და მას ჩვენთან „ახალი ქართული ხმა“ ჰქვია, ოთო ნემსაძისთვის უკრაინაში ნამდვილად წარმატებული აღმოჩნდა. ამ კონკურსში ქართველმა მომღერალმა მეორე ადგილი დაიკავა.

ოთო ნემსაძემ კიევში მხატვრული ტანვარჯიშის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაშიც მიიღო მონაწილეობა. არაერთ გზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ანა ბესონოვა საკმაოდ ორიგინალური და ინოვაციური ფორმით წარსდგა მაყურებლის წინაშე. მან საკუთარი ნომერი ოთო ნემსაძის მიერ ცოცხლად შესრულებულ უკრაინულ სიმღერაზე წარუდგინა მაყურებელს.

როგორც მომღერალი ამბობს, ის გაჩერებას არ აპირებს და მომავალში არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს.

# ხიზანიშვილი წავიდა — გმადლობთ, ზურაბ!

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა ზურაბ ხიზანიშვილმა სანაკრებო კარიერის დასრულება ფეისბუქის მეშვეობით გაავრცელა.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

— დიდხანს ვფიქრობდი ამ გადაწყვეტილების შესახებ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ ცხელ გულზე არ მიმიღია იგი. მთელი ჩემი ცხოვრება ფეხბურთს მივუძღვენი და მართლაც ბედნიერი ვარ ამით. უამრავი წარმატება თუ წარუმატებლობა, გამარჯვება თუ მარცხი მახსოვს ამ წლების განმავლობაში, მაგრამ, თუ რამეს მივაღწიე, მხოლოდ წარმოუდგენელი შრომისა და თავგანწირვის ხარჯზე. ვაგრძელებ ჩემს სპორტულ საქმიანობას, მაგრამ დღეიდან, სამწუხაროდ, უკვე ეროვნული ნაკრების გარეშე. ამ წლების განმავლობაში 400-მდე მატჩი მაქვს ნათამაშები, საქართველოს, შოტლანდიის, ინგლისისა და თურქეთის უმაღლეს ლიგებში, მაგრამ საქართველოს ეროვნული ნაკრებში ნათამაშები 91 მატჩი ჩემთვის ყველაზე უფრო საამაყოა. იყო შენი ქვეყნის წარმომადგენელი, გეცვას შენი ნაკრების მაისური, ნებისმიერი სპორტსმენისთვის ყველაზე დიდი პატივია. მინდა, მადლობა გადაუხადო ჩემს მეგობრებს, ყველა იმ ფეხბურთელს, ვისთან ერთადაც მქონია პატივი, ეროვნული ნაკრების ინტერესები დამეცვა. განსაკუთრებული მადლობა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის. დიდი მადლობა ყველას. არ მინდა, ვინმემ ეს გადაწყვეტილება ბრძოლის ველიდან გაქცევად ჩამითვალოს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ნაკრებში ჩემი ადგილი აღარ არის. მივდივარ ეროვნული ნაკრებიდან, მაგრამ ვრჩები ჩემი ქვეყნისა და ჩემი ნაკრების ერთგულ გულშემატკივრად.




შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩებისას ხიზანიშვილს სათადარიგოთა სკამზე მოუწია ყოფნა. ფინეთთან მატჩისას კი საერთოდ არ იყო განაცხადში. როგორც მატჩის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ აღნიშნა, ხიზანიშვილი ავტობუსში არ ავიდა, რაც, სავარაუდოდ, განაწყენებას ნიშნავდა. ამის შესახებ თავად ხიზანიშვილმა განაცხადა, ყველაფერს ფეისბუქის საშუალებით ვიტყვიო, თუმცა მხოლოდ ეს განცხადება გამოქვეყნდა და სხვა დეტალები ისევ ბურუსით მოცული დარჩა.

ხიზანიშვილს ბევრი კარგი მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრების შემადგენლობაში, რისთვისაც მადლობას ვუხდით და წარმატებებს ვუსურვებთ!

მ. ჟ.